პროექტი
10 სექტემბერი

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N

2026 წელი ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების შესახებ“

მუხლი 1.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების შესახებ“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს .....

პრემიერ - მინისტრი ირაკლი კობახიძე

ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობების შესახებ“

თავი I.

მიზანი, გამოყენების სფერო, ტერმინთა განმარტებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს გადამუშავებულინ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2.ტექნიკური რეგლამენტი ადგენს კონკრეტულ წესებს „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის N317 დადგენილებით (შემდეგში - N317 დადგენილება) მე-6 მუხლით განსაზღვრულ მასალებისა და საგნების/ნაკეთობების ჯგუფებისათვის.

3. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს წესებს:

ა) ბაზარზე იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების განთავსების შესახებ, რომლებიც ექვემდებარება N317 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოქმედების სფეროს და შეიცავს ნარჩენებიდან მიღებულ ან მათგან წარმოებულ რეციკლირებულ პლასტმასს;

ბ) რეციკლირებული პლასტმასის წარმოებისთვის განკუთვნილი რეციკლირების ტექნოლოგიების, პროცესებისა და რეციკლირების დანადგარების (ინსტალაციების) შემუშავებისა და ექსპლუატაციის შესახებ, როდესაც ასეთი პლასტმასი განკუთვნილია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოებაში გამოსაყენებლად;

გ) სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების, აგრეთვე იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების გამოყენების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია შემდგომი რეციკლირებისათვის.

4. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება ნარჩენების გამოყენებაზე იმ ნივთიერებების წარმოებისათვის, რომლებიც

განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N304 დადგენილების (შემდეგში - N304 დადგენილება) მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული „დაშვებული ნივთიერებები“-თ, ასევე იმ ნივთიერებების წარმოებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია N304 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, თუ ეს ნივთიერებები შემდეგში გამოიყენება N304 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1.ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ნარჩენი** – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

ბ) **მუნიციპალური ნარჩენები** - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;

გ) **ნარჩენების მართვა** - ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა;

დ) **ხელახალი გამოყენება** - ნარჩენად გადაქცევამდე პროდუქტის ან/და მისი კომპონენტის თავდაპირველი დანიშნულებით ხელახლა გამოყენება;

ე) **რეციკლირება** - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერგიის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;

ვ) **არასახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტება;

ზ) **სახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებსაც აქვს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;

თ) **რეციკლირების ტექნოლოგია** - ფიზიკური ან ქიმიური კონცეფციების, პრინციპებისა და მეთოდების კონკრეტული ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული ტიპისა და განსაზღვრული წესით შეგროვებული ნარჩენების გადასამუშავებლად კონკრეტული ტიპისა და კონკრეტული დანიშნულებით გამოსაყენებელი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების მისაღებად და მოიცავს დეკონტამინაციის ტექნოლოგიასაც;

ი) **დეკონტამინაციის ტექნოლოგია** - ფიზიკური ან ქიმიური კონცეფციების, პრინციპებისა და მეთოდების კონკრეტული ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს რეციკლირების ტექნოლოგიის ნაწილს და რომლის ძირითადი დანიშნულებაა დამაბინძურებლების მოცილება ან მასალის გაწმენდა;

კ) **რეციკლირების პროცესი** - ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა, რომელიც მიზნად ისახავს რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოებას წინასწარი დამუშავების, დეკონტამინაციის პროცესისა და შემდგომი დამუშავების ეტაპების საშუალებით და ეფუძნება კონკრეტულ რეციკლირების ტექნოლოგიას;

ლ) **რეციკლირებული პლასტმასი** - პლასტმასი, რომელიც მიღებულია რეციკლირების პროცესის დეკონტამინაციის ეტაპის შედეგად, აგრეთვე შემდგომი დამუშავების ოპერაციების შედეგად მიღებული პლასტმასი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებად და ნაკეთობებად;

მ) **რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები** - საბოლოო მდგომარეობაში მყოფი სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი მასალები და ნაკეთობები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ დამზადებულია რეციკლირებული პლასტმასისგან;

ნ) **რეციკლირებული პლასტმასის შემცველობა** - რეციკლირებული პლასტმასის რაოდენობა, რომელიც უშუალოდ მიიღება რეციკლირების პროცესის დეკონტამინაციის ეტაპის შედეგად და რომელიც შემდგომ გამოიყენება როგორც რეციკლირებული პლასტმასის შემადგენელი ნაწილი, მათ შორის, შემდგომი დამუშავების შედეგად მიღებულ რეციკლირებულ პლასტმასში ან მისგან წარმოებულ რეციკლირებულ პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებში;

ო) **წინასწარი დამუშავება** - ნარჩენების მართვის ყველა ოპერაცია, მათ შორის პლასტმასის ნარჩენების დახარისხება, დაქუცმაცება, გარეცხვა, შერევა ან სხვა სახის დამუშავება, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ პლასტმასის ნარჩენები დეკონტამინაციის პროცესისთვის გამოსადეგი გახდეს.

პ) **პლასტმასის საწყისი ნედლეული** - წინასწარი დამუშავების შედეგად მიღებული პლასტმასის მასალა, რომელიც განკუთვნილია დეკონტამინაციის პროცესში გამოყენებისთვის;

ჟ) **დეკონტამინაციის პროცესი** - ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების სპეციფიკური თანმიმდევრობა, რომელიც კონკრეტული დეკონტამინაციის ტექნოლოგიის გამოყენებით უზრუნველყოფს პლასტმასის საწყისი ნედლეულიდან დამაბინძურებლების მოცილებას, სადაც გამოყენებული დეკონტამინაციის ტექნოლოგია შესაბამისია იმგვარი პლასტმასის მისაღებად, რომელიც გამოიყენება სურსათთან შეხებისათვის;

რ) **შემთხვევითი დაბინძურება** - პლასტმასის საწყის ნედლეულში არსებული დაბინძურება, რომელიც წარმოიშობა სურსათიდან, სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი და გამოყენებული პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან, მათი

DRAFT

გამოყენების შედეგად ან არასასურსათო დანიშნულებით არასათანადო გამოყენებისას, აგრეთვე ნარჩენების მართვის პროცესში სხვა ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების არამიზნობრივი მოხვედრით;

ს) **შემდგომი დამუშავება** - დეკონტამინაციის პროცესის დასრულების შემდეგ განხორციელებული ყველა ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაცია, რომლის დროსაც დეკონტამინაციის პროცესის შედეგად მიღებული მასალა ექვემდებარება შემდგომ პოლიმერიზაციას, სხვა სახის დამუშავებას ან/და გარდაქმნას, რის შედეგადაც მიიღება მზა რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები;

ტ) **რეციკლირების დანადგარი** - მოწყობილობა ან მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს რეციკლირების პროცესის სულ მცირე ერთი ეტაპის განხორციელებას;

უ) **დეკონტამინაციის დანადგარი** - სპეციფიკური აღჭურვილობა, რომელიც ახორციელებს დეკონტამინაციის პროცესს;

ფ) **რეციკლირების ობიექტი** - ადგილი, სადაც განთავსებულია სულ მცირე ერთი დეკონტამინაციის დანადგარი;

ქ) **რეციკლირების სქემა** - ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის ორგანიზებული თანამშრომლობის სისტემა, რომელიც არეგულირებს პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებას, განცალკევებულ შეგროვებასა და რეციკლირებას მათი დაბინძურების შეზღუდვის ან თავიდან აცილებისა და რეციკლირების ხელშეწყობის მიზნით;

ღ) **რეციკლირების ბიზნესოპერატორი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დეკონტამინაციის პროცესს;

ყ) **შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დეკონტამინაციის პროცესის შედეგად მიღებული რეციკლირებული პლასტმასის შემდგომი დამუშავების ერთ ან რამდენიმე ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციას;

შ) **ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაცია** - პროცესის შემადგენელი ძირითადი ოპერაცია, რომლის დროსაც საწყის მასალაზე ხორციელდება ერთი გარდაქმნა ან რამდენიმე გარდაქმნა, თუ ისინი ერთდროულად მიმდინარეობს;

ჩ) **წარმოების ეტაპი** - ერთი ან რამდენიმე თანამიმდევრული ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაცია, რომლის დასრულების შემდეგ ხორციელდება ამ ეტაპზე მიღებული მასალის ხარისხის შეფასება;

ც) **პარტია** - ერთი და იგივე ხარისხის მქონე მასალის რაოდენობა, რომელიც დამზადებულია გარკვეულ წარმოების ეტაპზე, ერთსა და იმავე პირობებში, ინახება განცალკევებულად ისე, რომ გამოირიცხოს სხვა მასალებთან მისი შერევა ან დაბინძურება და აღნიშნულია წარმოების ერთი ნომრით.

ძ) **ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ახალი ტექნოლოგიის შემუშავებას.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერმინებისა, ამ

ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით, „ნარჩენების მართვის კოდექსით და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის N24 დადგენილებით (შემდეგში - N24 დადგენილება), საქართველოს მთავრობის N304 და N317 დადგენილებებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიები

1.რეციკლირების ტექნოლოგია ითვლება სათანადოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ მას შეუძლია ნარჩენების რეციკლირება ისეთ რეციკლირებულ პლასტმასის მასალებად და ნაკეთობებად, რომლებიც აკმაყოფილებს N317 რეგლამენტის მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია.

2.რეციკლირების ტექნოლოგიები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

ა) საწყისი მასალის ტიპი, შეგროვების წესი და წარმოშობა;

ბ) ფიზიკური და ქიმიური კონცეფციების, პრინციპებისა და პრაქტიკის კონკრეტული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება აღნიშნული საწყისი მასალის დეკონტამინაციის მიზნით;

გ) რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ტიპი და მათი სავარაუდო გამოყენება;

დ) ამ ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული რეციკლირების პროცესების შეფასებისა და ავტორიზაციის საჭიროება ან მისი არარსებობა, ასევე შესაბამისი კრიტერიუმები, შეფასებისა და ავტორიზაციისათვის.

3. სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიები განსაზღვრულია დანართი N1-ით - „სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიების ნუსხა“. დანართი N1-ში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 და მე-17 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4. თუ კონკრეტული რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით მიმდინარე რეციკლირების პროცესში საკმარისი დეკონტამინაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა დამოკიდებულია გამოყენებული საწყისი ნედლეულის ზუსტ სპეციფიკაციაზე, აღნიშნული პროცესის დეტალურ კონფიგურაციაზე ან ექსპლუატაციის პირობებზე, ხოლო აღნიშნული სპეციფიკაციის, კონფიგურაციის ან პირობების მარტივი წესების სახით განსაზღვრა შეუძლებელია იმ ეტაპზე, როდესაც აღნიშნული ტექნოლოგია სათანადოდ არის მიჩნეული, ამ ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული თითოეული რეციკლირების პროცესი ექვემდებარება სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ინდივიდუალურ

DRAFT

ავტორიზაციას, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

5. დანართი N1-ში მითითებული უნდა იქნეს, უნდა დაექვემდებაროს თუ არა ავტორიზაციას რეციკლირების ტექნოლოგიის ცალკეული რეციკლირების პროცესი.

6. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის, ნებისმიერი რეციკლირების ტექნოლოგია, რომლის შესახებ, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 ან მე-17 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, არ არის მიღებული გადაწყვეტილება არის თუ არა ის შესაბამისი, ჩაითვლება ახალ ტექნოლოგიად.

თავი II
რეციკლირებული პლასტმასის და რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ბაზარზე განთავსება

მუხლი 5. რეციკლირებულ პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი წარმოებისას დაკმაყოფილებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2-7-ე პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები.

2. რეციკლირებულ პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებზე ვრცელდება N304 დადგენილების მე-5-12 და მე-14-15 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება დეკონტამინაციის პროცესის საწყის და საბოლოო მასალებში არსებულ დამაბინძურებლებზე. საწყისი და საბოლოო მასალების ხარისხი და სისუფთავე უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნივთები წარმოებული უნდა იქნეს ერთ-ერთი შემდეგი მეთოდის გამოყენებით:

ა) დანართი N1-ით განსაზღვრული შესაბამისი რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც შემუშავებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის თავი IV - ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები იწარმოება სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით, დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) საჭიროების შემთხვევაში, რეციკლირების პროცესს, რომელიც გამოიყენება რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნივთების წარმოებისთვის, მინიჭებული უნდა ჰქონდეს ავტორიზაცია;

ბ) რეციკლირება და რეციკლირებული პლასტმასის გამოყენება რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოებისთვის უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7-9-ე მუხლებით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს, ასევე დანართი N1-ის პირველი ცხრილის მე-8 სვეტში განსაზღვრულ ტექნოლოგიის სპეციფიკაციებსა და მოთხოვნებს და ავტორიზაციით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან, უნდა ითვალისწინებდეს ცხრილი N1-ის მე-9 სვეტში და ავტორიზაციაში განსაზღვრულ კონკრეტულ გამონაკლისებს;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესისგან განსხვავებით, როდესაც სათანადო რეციკლირების ტექნოლოგია ხორციელდება რეციკლირების სქემის ფარგლებში, რეციკლირება და რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს და, შესაბამის შემთხვევაში, დანართი N1-ის მიხედვით ამ ტექნოლოგიისთვის დადგენილ სპეციალურ წესებს;

5. იმ შემთხვევაში, როდესაც რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები იწარმოება ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით, დაცული უნდა იქნეს მე-11-14-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.(p.5)

6. ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრული რეესტრი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას რეციკლირებული პლასტმასის წარმოებასთან დაკავშირებით:

ა) დეკონტამინაციის დანადგარი, რომელშიც დამზადდა რეციკლირებული პლასტმასი, რეციკლირების ობიექტის მისამართი და ამ ობიექტის ექსპლუატაციისას რეციკლირების ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) გამოყენებული ავტორიზებული რეციკლირების პროცესი იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული სათანადო რეციკლირების ტექნოლოგია მოითხოვს ავტორიზაციას რეციკლირების პროცესებისთვის;

გ) გამოყენებული რეციკლირების სქემის დასახელება, აღნიშნული სქემის მმართველი (ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი) სუბიექტის იდენტიფიკაცია და შესაბამისი მარკირება, თუ რომელი საიდენტიფიკაციო მარკირება ან ნიშნებია გამოყენებული ამ სქემის ფარგლებში. თუ გამოყენებული რეციკლირების ტექნოლოგია მოითხოვს რეციკლირების სქემის ფარგლებში ფუნქციონირებას;

დ) ახალი (“ნოველ”) ტექნოლოგიის დასახელება იმ შემთხვევაში, თუ რეციკლირებული პლასტმასის წარმოებაში გამოიყენება ახალი რეციკლირების (“ნოველ”) ტექნოლოგია.

7. საჭიროების შემთხვევაში, წარმოებაში გამოყენებულ, ავტორიზაციის მქონე რეციკლირების პროცესს, ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრულ რეესტრში არ უნდა ჰქონდეს „შეჩერებული“-ს ან „გაუქმებული“-ს სტატუსი.

8. ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრულ რეესტრში, წარმოებაში გამოყენებული დეკონტამინაციის დანადგარს არ უნდა ჰქონდეს „შეჩერებული“-ს სტატუსი.

DRAFT

მუხლი 6. დოკუმენტაციასთან, ინსტრუქციებსა და ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. რეციკლირებული პლასტმასის, აგრეთვე რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების თითოეულ პარტიას უნდა ახლდეს მისი ხარისხის შესახებ ერთიანი დოკუმენტი ან ჩანაწერი, ხოლო თითოეული პარტია უნდა იყოს იდენტიფიცირებული უნიკალური ნომრითა და იმ წარმოების ეტაპის დასახელებით, რომელზედაც იგი იქნა მიღებული.

2. ბაზარზე განთავსებულ რეციკლირებულ პლასტმასს თან უნდა ახლდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის 30-ე მუხლით განსაზღვრული შესაბამისობის დეკლარაცია.

3. შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორისათვის მიწოდებული რეციკლირებული პლასტმასის კონტეინერები უნდა იყოს ეტიკეტირებული. ეტიკეტზე დატანილი უნდა იქნას N 317 დადგენილების დანართი N2-ით განსაზღვრული სიმბოლო, რომელსაც თან ახლავს:

ა) სიმბოლო RIN და იმ დეკონტამინაციის დანადგარის სარეგისტრაციო ნომერი, რომელშიც სრულდება რეციკლირებული პლასტმასის დამზადება ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სიმბოლო Batch No, რომელსაც მოჰყვება პარტიის ნომერი;

გ) რეციკლირებული პლასტმასის შემცველობის პროცენტული წილი;

დ) მზა რეციკლირებულ პლასტმასის მასალებსა და რეციკლირებულ პლასტმასის ნაკეთობების შემადგენლობაში, რომელიც შეიცავს რეციკლირებულ პლასტმასს, მისი დასაშვები შემცველობის მაქსიმალური პროცენტული წილი თუ იგი 100 %-ზე ნაკლებია;

ე) იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მითითებულ დეკლარაციას თან ახლავს დამატებითი ინსტრუქციები, გამოყენებულ უნდა იქნას ISO 7000 („Graphical symbols for use on equipment“ - ISO 7000 : „აღჭურვილობაზე გამოსაყენებელი გრაფიკული სიმბოლოები — რეგისტრირებული სიმბოლოები“) სტანდარტით განსაზღვრული სიმბოლო, საცნობარო ნომრით 1641; რომელიც მიუთითებს დამატებითი ინსტრუქციების გაცნობის აუცილებლობაზე.

4. ამ მუხლის მე - 3 პუნქტით განსაზღვრული ეტიკეტი ყოველთვის განთავსებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილზე, უნდა იყოს ადვილად წაკითხვადი და მყარად მიმაგრებული.

5. ეტიკეტზე გამოყენებული შრიფტის მინიმალური ზომა (ნუსხური ასო) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 მმ-ს იმ კონტეინერებზე, რომელთა უდიდესი გარე განზომილება (სიგრძე, სიგანე ან სიმაღლე, იმის მიხედვით, რომელიც ყველაზე დიდია) 75 სანტიმეტრზე ნაკლებია; არანაკლებ 8 მმ-ს - იმ კონტეინერებისთვის, რომელთა უდიდესი გარე განზომილება 75 სმ-დან 125 სმ-მდეა; არანაკლებ 10,6 მმ-ს - იმ კონტეინერებისთვის, რომელთა უდიდესი გარე განზომილება 125 სმ-ს აღემატება.

6. ამ მუხლის მე-4-5-ე პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან

გამონაკლისის სახით შესაძლებელია ეტიკეტის დატანა არ განხორციელდეს იმ უძრავ კონტეინერებზე, რომლებიც დამონტაჟებულია დანადგარებში ან სატრანსპორტო საშუალებებზე.

7. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული შეზღუდვები და სპეციფიკაციები, რომლებიც ეხება რეციკლირებული პლასტმასის მასალების ან შესაბამისი რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით დამზადებული ნაკეთობების გამოყენებას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზაციით განსაზღვრული შეზღუდვები და სპეციფიკაციები, რომლებიც ეხება რეციკლირებული მასალების ან რეციკლირების პროცესით დამზადებული ნაკეთობების გამოყენებას, უნდა იყოს მითითებული რეციკლირებული მასალების ან ნაკეთობების ეტიკეტზე, რომლებიც მიეწოდება სურსათის ბიზნესოპერატორებს ან საბოლოო მომხმარებლებს, N317 დადგენილების მე-10 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

თავი III

პლასტმასის რეციკლირებასა და რეციკლირებული პლასტმასის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 7. შეგროვებასა და წინასწარ დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1.ნარჩენების მართვის ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც მონაწილეობენ პლასტმასის ნედლეულის მიწოდების ჯაჭვში, უნდა უზრუნველყონ, რომ შეგროვებული პლასტმასის ნარჩენები აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) პლასტმასის ნარჩენები წარმოშობილი უნდა იყოს მხოლოდ მუნიციპალური ნარჩენებიდან, ან სურსათის საცალო ვაჭრობის პუნქტების ან სხვა სურსათის ბიზნესოპერატორების საქმიანობიდან, იმ პირობით, რომ აღნიშნული პლასტმასი განკუთვნილი იყო და გამოიყენებოდა მხოლოდ სურსათთან შეხებისათვის, მათ შორის, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად მოქმედი რეციკლირების სქემის ფარგლებში წარმოქმნილი პლასტმასის ნარჩენები;

ბ) პლასტმასის ნარჩენი წარმოშობილი უნდა იყოს მხოლოდ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან, რომლებიც დამზადებულია N 304 რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ან რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან, რომლებიც დამზადებულია ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) პლასტმასის ნარჩენი ექვემდებარება განცალკევებულ შეგროვებას;

დ) პლასტმასის იმ მასალებისა და ნაკეთობების შემცველობა, რომლებიც განსხვავდება იმ პლასტმასისგან, რომლისთვისაც განკუთვნილია დეკონტამინაციის

პროცესი, მათ შორის, თავსახურების, ეტიკეტების, წებოვანი მასალების, სხვა მასალებისა და ნივთიერებების, აგრეთვე სურსათის ნარჩენების შემცველობა, უნდა შემცირდეს რეციკლირების ბიზნესოპერატორი მიერ პლასტმასის ნედლეულის მიმართ დადგენილ დასაშვებ დონემდე, იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნეს დეკონტამინაციის პროცესით მიღწეული დონე;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნისათვის, პლასტმასის ნარჩენები ითვლება ცალკე შეგროვებულად იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

ა) ის შედგება მხოლოდ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვულ მოთხოვნებს და რომლებიც, რეციკლირების მიზნით, სხვა ნარჩენებისგან განცალკევებით იქნა შეგროვებული;

ბ) იგი გროვდება მუნიციპალური ნარჩენებიდან შეფუთვის სხვადასხვა ნარჩენების დახარისხებით, ან გროვდება პლასტმასის (არა შეფუთვის), ლითონის, ქაღალდის ან მინის სხვა ერთად შერეული მუნიციპალური ნარჩენებიდან, და პლასტმასის რეციკლირებისათვის განცალკევებულად ხდება პლასტმასის ნარჩენის შეგროვება და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) შეგროვების სისტემა უნდა მოიცავდეს მხოლოდ არასახიფათო ნარჩენებს;

ბ.ბ) ნარჩენების შეგროვებისა და შემდგომი დახარისხების პროცესი უნდა იყოს დაგეგმილი და განხორციელებული იმგვარად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს შეგროვებული პლასტმასის ნარჩენების დაბინძურება ისეთი პლასტმასის ნარჩენებით, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ან სხვა სახის ნარჩენებით.

3. პლასტმასის ნარჩენები, მათი შეგროვებისა და წინასწარი დამუშავების მთელი პროცესის განმავლობაში, უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებმა უნდა:

ა) უზრუნველყონ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი პირობები და მოთხოვნების შესრულება;

ბ) უზრუნველყონ პლასტმასის ნარჩენების თითოეული პარტიის მიკვლევადობა შეგროვების ეტაპიდან პლასტმასის ნარჩენების პირველადი დახარისხების ეტაპამდე;

გ) სერტიფიცირებული იყოს დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ.

4.კარგი საწარმოო პრაქტიკის, ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების, აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაციის მიმართ, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით (mutatis mutandis), ვრცელდება N317 დადგენილების 15^1 მუხლი და ამავე დადგენილების დანართი N3-ის “შესაბამისობის დეკლარაციების ფორმები“ „ბ“ ნაწილი - რეციკლირების ბიზნესოპერატორის მიერ გამოსაყენებელი შესაბამისობის დეკლარაცია.

DRAFT

მუხლი 8. დეკონტამინაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. დეკონტამინაციის პროცესში გამოყენებული პლასტმასის საწყისი ნედლეული და გამოსული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი რეციკლირების ტექნოლოგიისთვის დანართის №1-ის ცხრილი N1-ის მე-3, მე-5 და მე-6 სვეტებით განსაზღვრულ სპეციფიკაციებს, ხოლო შესაბამის შემთხვევებში – ავტორიზაციით დადგენილ სპეციალურ კრიტერიუმებს.

2. დეკონტამინაციის პროცესი უნდა განხორციელდეს დანართი N1-ის ცხრილი N1-ის მე-8 სვეტში განსაზღვრული შესაბამისი სპეციფიკაციებისა და მოთხოვნების მიხედვით, ხოლო საჭიროების შემთხვევებში – ავტორიზაციით დადგენილი სპეციალური კრიტერიუმების დაცვით. რეციკლირების ბიზნესოპერატორი უნდა უზრუნველყოს N317 დადგენილების 15[1] მუხლით და ამავე დადგენილების დანართი N3-ის „ბ“ ნაწილით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. დეკონტამინაციის დანადგარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იყოს ერთ რეციკლირების ობიექტში, რომელიც ფუნქციონირებს ისე, რომ არ უნდა მოხდეს რეციკლირებული პლასტმასის, აგრეთვე რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ხელახალი დაბინძურება;

ბ) მისი კონსტრუქცია და ექსპლოატაციის პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ რეციკლირების პროცესს, რომლის ფარგლებშიც იგი გამოიყენება;

გ) მისი ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის 27-ე მუხლის შესაბამისად შედგენილ შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

4. უნდა წარმოებდეს ჩანაწერების რეესტრი, რომელშიც აღრიცხული იქნება ინფორმაცია ცალკეული პარტიების ხარისხის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმის 4.1 პუნქტში. აღნიშნულ რეესტრში დაცული ჩანაწერები უნდა ინახებოდეს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 9. რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების შემდგომი დამუშავება და გამოყენება

1.შემდგომი დამუშავების ბიზნეოპერატორი უნდა აკმაყოფილებდეს ამ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს:

ა) რეციკლირებული პლასტმასის შემდგომი დამუშავება განახორციელონ იმ ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც მათ მიაწოდა რეციკლირების ბიზნესოპერატორმა ან შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორის მიმწოდებლმა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, შემდგომ ეტაპზე ჩართულ შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორებს მიაწოდონ ინსტრუქციები ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3-6 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

DRAFT

გ) საჭიროების შემთხვევაში, რეციკლირებული პლასტიკის მასალებისა და საგნების მომხმარებლებს მიაწოდონ შესაბამისი ინსტრუქციები ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. სურსათის ბიზნესოპერატორებმა რეციკლირებული პლასტმასისგან დამზადებული მასალები და ნაკეთობები უნდა გამოიყენონ იმ ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც მათ მიიღეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.

3. სურსათის ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც იყენებენ რეციკლირებული პლასტმასისგან დამზადებულ მასალებსა და ნაკეთობებს, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ინსტრუქციები უნდა მიაწოდონ ასეთი მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებით შეფუთული სურსათის მომხმარებლებს და/ან სხვა სურსათის ბიზნესოპერატორებს. (უნომრო)

4. რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და საგნების, რომლებიც ჯერ არ ყოფილა სურსათთან შეხებაში, საცალო მოვაჭრეებმა, უნდა მიაწოდონ ამ მასალებისა და საგნების მომხმარებლებს გამოყენების შესახებ შესაბამისი ინსტრუქციები, თუ აღნიშნული ინსტრუქციები უკვე არ არის მითითებული ეტიკეტზე ან სხვა ფორმით დატანილი თავად მასალებზე ან საგნებზე.

მუხლი 10. რეციკლირების სქემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. რეციკლირების სქემის მართვას უნდა ახორციელებდეს ერთი იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია რეციკლირების სქემის საერთო ფუნქციონირებაზე.

2. რეციკლირების სქემის ამოქმედებამდე, არანაკლებ 15 სამუშაო დღით ადრე, სქემის მმართველმა უნდა აცნობოს სააგენტოს, რათა განხორციელდეს მისი რეგისტრაცია რეესტრში, რომელიც შექმნილია ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3. რეციკლირების სქემის მმართველმა უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია - დასახელება, მისამართი, საკონტაქტო პირები, რეციკლირების სქემის დასახელება, არაუმეტეს 300 სიტყვისგან შემდგარი რეციკლირების სქემის მოკლე აღწერა, ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ეტიკეტირება, რეციკლირების სქემაში მონაწილე ბიზნესოპერტორები, ინფორმაცია რეციკლირების სქემაში გამოყენებული დეკონტამინაციის დანადგარების შესახებ. რეციკლირების სქემის მმართველმა უნდა უზრუნველყოს მიწოდებული ინფორმაციის რეგულარული განახლება.

4. შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმის შედგენა არ ხდება, და ამ ტექნიკური რეგლამენტის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და 27-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც რეციკლირების ბიზნესოპერატორი რეციკლირებული პლასტმასის წარმოების შესახებ შეტყობინებას წარადგენენ რეციკლირების სქემის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანართ N1-ის ცხრილი N1-ის „სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიების

ნუსხა“ მე-8 სვეტი კონკრეტული ტექნოლოგიისათვის მოითხოვს ასეთი ფორმის შედგენას, მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა რეციკლირების სქემის ფარგლებში ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 27-ე მუხლი არ გამოიყენება, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული რეგისტრაციის სტატუსი, რომელზეც მითითებულია 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რეესტრში აღნიშნული უნდა იყოს როგორც „აქტიური“.

5. რეციკლირების სქემის მმართველმა ყველა მონაწილე ბიზნესოპერატორსა და სხვა მონაწილე ორგანიზაციას უნდა მიაწოდოს ერთიანი დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში უნდა განისაზღვროს რეციკლირების სქემის მიზნები, აიხსნას მისი ფუნქციონირების წესი, მოცემული უნდა იყოს შესაბამისი ინსტრუქციები და დეტალურად იყოს განსაზღვრული მონაწილეებისთვის დაკისრებული ვალდებულებები. რეციკლირების სქემის ფუნქციონირების განმარტება ასევე უნდა მოიცავდეს რეციკლირების ოპერაციების აღწერას.

6. რეციკლირების სქემები უნდა შეიქმნას ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის ცხრილი N1-ით განსაზღვრული გამოყენებული ვარგისი რეციკლირების ტექნოლოგიისათვის დადგენილი სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის პირობების დაცვით.

7. ნარჩენების შეგროვების სისტემა უნდა წარმოადგენდეს რეციკლირების სისტემის შემადგენელ ნაწილს და უნდა იყოს ამ სისტემისთვის სპეციალურად განკუთვნილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ იმ მასალებისა და ნაკეთობების შეგროვება, რომლებიც გამოყენებული იყო აღნიშნული სისტემის ფარგლებში.

8. გამოყენების იმ ეტაპებზე, როდესაც მასალები და ნივთები განსაზღვრულია ან გონივრულად მოსალოდნელია გამოყენებული იქნეს სურსათთან კონტაქტისათვის, რეციკლირების სისტემის ფარგლებში გამოყენებული ყველა მასალა და ნივთი უნდა იყოს ნიშანდებული/მარკირებული ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით დადგენილ რეესტრში რეგისტრირებული ნიშნით/მარკირებით. აღნიშნული ნიშანი/მარკირება უნდა იყოს მკაფიოდ ხილული, წაუშლელი და კონკრეტული რეციკლირების სისტემისათვის უნიკალური.

9. ყველა სურსათის ბიზნესოპერატორმა, რომელიც იყენებს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ნიშნით მონიშნულ მასალებსა და ნაკეთობებს, უნდა უზრუნველყოს, რომ ეს მასალები და ნაკეთობები აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ისინი იყოს ეტიკეტირებული, გამოყენებული და გასუფთავებული რეციკლირების სისტემის მმართველისგან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) ისინი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ სურსათის განაწილების, შენახვის, გამოფენისა და რეალიზაციის მიზნით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი;

გ) ისინი არ იყოს დაბინძურებული რეციკლირების სისტემით დაშვებულის

გარდა სხვა მასალებით ან ნივთიერებებით;

დ) თუ ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და “გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან რომელიმე მოთხოვნა არ სრულდება, შესაბამისი მასალები ან ნაკეთობები უნდა გამოირიცხოს რეციკლირების სისტემიდან და განადგურდეს.

10. იმ შემთხვევაში, თუ სისტემა ითვალისწინებს ნარჩენების მომხმარებლებისგან შეგროვებას, შეგროვება უნდა განხორციელდეს სხვა ნარჩენებისგან განცალკევებით, სპეციალურად განსაზღვრულ შეგროვების პუნქტებში, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ნარჩენების შეგროვება შეესაბამებოდეს რეციკლირების სქემის მოთხოვნებს.

11.რეციკლირების სქემის შესაბამისად წარმოებული რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები არ შეიძლება ბაზარზე განთავსდეს იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნეს აღნიშნული სქემის ფარგლებს მიღმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის მე-9 სვეტი ამ მოთხოვნიდან გამონაკლისს ითვალისწინებს.

12. ბიზნესოპერატორებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც მონაწილეობენ რეციკლირების სქემაში, ვალდებულნი არის შეასრულონ ერთ-ერთი შემდეგი მოთხოვნა:

ა) დანერგონ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა N317 დადგენილების 15^1 მუხლით და ამავე დადგენილების დანართი N3-ის „ბ“ ნაწილით განსაზღვრული შესაბამისად;

ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე სურსათის ბიზნესოპერატორებს შეუძლიათ რეციკლირების სქემის მოთხოვნები დანერგონ „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №173 დადგენილებით განსაზღვრულ საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებულ მუდმივი პროცედურების ფარგლებში და აღნიშნული პროცედურები, საჭირო ცვლილებების გათვალისწინებით (*mutatis mutandis*), გამოიყენონ პლასტმასის დაბინძურებასთან დაკავშირებული საფრთხეების მიმართ.

თავი IV
რეციკლირების ტექნოლოგიების შემუშავება და ჩამონათვალი

მუხლი 11. ახალი (“ნოველ”) ტექნოლოგიების შემუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1.რამდენიმე ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე დროს შეიმუშაოს ახალი (“ნოველ”) ტექნოლოგიები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტექნოლოგიები შეიძლება მიჩნეულ იქნეს მსგავს ან იდენტურ ტექნოლოგიებად.

2.თუ ბიზნესოპერატორები ან სხვა ორგანიზაციები ერთობლივად

თანამშრომლობენ ახალი ტექნოლოგიის შემუშავების მიზნით, ამ ბიზნესოპერატორებს ან ორგანიზაციებს წარმოადგენს ერთი იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს, როგორც ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი.

3.ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირველი დეკონტამინაციის დანადგარის ექსპლუატაციის დაწყებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ახალი ტექნოლოგიის შემმმუშავებელმა სუბიექტმა, ახალი ტექნოლოგიის შესახებ უნდა აცნობოს სააგენტოს

4.ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლით განსაზღვრულ რეესტრში ახალი ტექნოლოგიის რეგისტრაციის მიზნით, ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტის მიერ, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნეს:

ა) ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტის დასახელება;

ბ) მისამართი;

გ) საკონტაქტო პირ(ებ)ი;

დ) ახალი ტექნოლოგიის დასახელება;

ე) ახალი ტექნოლოგიის არაუმეტეს 300-სიტყვიანი შეჯამება;

ვ) URL - რესურსის ერთიანი მაჩვენებელი (Uniform Resource Locator), რომლის საშუალებითაც ხელმისაწვდომია ამ მუხლის მე-7 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებული ანგარიშები;

ზ) იმ რეციკლირების ობიექტების დასახელებები, მისამართები ან ნომრები, სადაც გათვალისწინებულია ტექნოლოგიის განვითარება.

5.ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებლის მიერ წარდგენილი შეტყობინება უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) ახალი ტექნოლოგიის მახასიათებლებს (დახასიათებას), რომელიც დაფუძნებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ რეციკლირების ტექნოლოგიის თვისებებზე

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7-9 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან ნებისმიერი გადახვევის განმარტებას, ან მითითებას იმის შესახებ, იყენებს თუ არა ახალი ტექნოლოგია რეციკლირების სქემას;

გ) ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტის მიერ შედგენილ ვრცელ დასაბუთებას, სამეცნიერო მტკიცებულებებსა და კვლევებს, რომლებიც ადასტურებს, რომ ახალ ტექნოლოგიას შეუძლია აწარმოოს რეციკლირებული პლასტმასის მასალები და საგნები, რომლებიც შეესაბამება N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის მათი მიკრობიოლოგიური უვნებლობის უზრუნველყოფას; აგრეთვე პლასტმასის საწყის ნედლეულში და რეციკლირებულ პლასტმაში დამაბინძურებლების დონეების დახასიათებას, დეკონტამინაციის ეფექტურობისა და ამ დამაბინძურებლების გადატანის განსაზღვრას რეციკლირებული პლასტმასის მასალებიდან და ნაკეთობებიდან სურსათში, ასევე დასაბუთებას იმის შესახებ, თუ რატომ არის საკმარისი გამოყენებული კონცეფციები, პრინციპები და პრაქტიკა

აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

დ) ერთი ან მეტი ტიპური რეციკლირების პროცესის აღწერას, რომლებშიც გამოყენებულია აღნიშნული ტექნოლოგია, მათ შორის წარმოების ეტაპების ძირითად ბლოკ-სქემას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული რეციკლირების სქემის განმარტებას და მისი ფუნქციონირების მარეგულირებელი წესების აღწერას;

ე) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნაზე დაფუძნებულ განმარტებას, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ტექნოლოგია არსებული ტექნოლოგიებისგან განსხვავებულად და რატომ უნდა ჩაითვალოს იგი ახალ ტექნოლოგიად;

ვ) მოკლე აღწერას, რომელშიც მითითებული იქნება, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს მომავალში ის რეციკლირების პროცესები, რომლებიც გამოიყენებენ ამ ახალ ტექნოლოგიას, და რომელსაც ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი წარუდგენს სააგენტოს განსახილველად, ამ ტექნიკური რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ზ) იმ დეკონტამინაციის დანადგარების სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც დაგეგმილია ახალი ტექნოლოგიის განვითარების პროცესში ექსპლუატაციისთვის, და იმ რეციკლირების ობიექტების მისამართები, სადაც მათი განთავსება არის დაგეგმილი;

თ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, დეკონტამინაციის ეფექტურობის დასადგენად გამოყენებული მონაცემები უნდა იქნას მიღებული ან საცდელი (საპილოტე) დანადგარის ექსპლუატაციიდან, ან სურსათთან შეხებისთვის არამიზნობრივი რეციკლირებული პლასტმასის კომერციული წარმოებიდან. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების უვნებლობის დამატებითი დადასტურება, მონაცემებს უნდა დაემატოს სპეციალური ტესტების შედეგები, რომლებიც შექმნილია კონკრეტული რეციკლირების ტექნოლოგიის დამახასიათებელი კონცეფციების, პრინციპებისა და პრაქტიკის ეფექტურობის შესაფასებლად. იმ შემთხვევაში, თუ პლასტმასის საწყისი ნედლეული შეიცავს პლასტმასს, რომელიც არ არის წარმოებული N304 დადგენილების შესაბამისად, საჭირო მტკიცებულებები უნდა ადასტურებდეს, რომ გამოყენებული ტექნოლოგიით ხდება იმ ნივთიერებების მოცილება, რომლებიც გამოყენებული იყო ამ პლასტმასის წარმოებაში, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საბოლოო პროდუქტის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსათვის. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ყველა იმ რეციკლირების ბიზნესოპერატორს, რომელიც ამ ახალ ტექნოლოგიას იყენებს. ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს რეციკლირების საქმიანობიდან გამომდინარე მიღებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს ახალი ტექნოლოგიის შემმუშვებელი სუბიექტისათვის კომერციულ საიდუმლოდ და არ უნდა გახდეს საჯარო მანამ, სანამ

სააგენტო არ მოითხოვს რეციკლირების ტექნოლოგიის შეფასებას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

7. შეტყობინების დროისთვის, რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია ასევე გამოაქვეყნოს თავის ვებ-გვერდზე დეტალური საწყისი ანგარიში ამ მუხლის მე-3-4 პუნქტებით განსაზღვრული URL-ის გამოყენებით, წარმოებული პლასტმასის უვნებლობის შესახებ, მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე. აღნიშნულ ანგარიშში შეიძლება არ იყოს შეტანილი ახალი ("ნოველ") ტექნოლოგიის გამოყენებით რეციკლირების პროცესებისა და დანადგარების შესახებ დეტალები, რამდენადაც აღნიშნული დეტალები მართებულად მიიჩნევა როგორც კომერციულად საიდუმლო. აგრეთვე მოწოდებული უნდა იქნას დეტალური შეჯამება (სრული რეზიუმე), რომელიც შეიცავს ტექნოლოგიის დამოუკიდებელი შეფასების ჩასატარებლად საჭირო ყველას სახის ინფორმაციას, უფრო დეტალურ ანგარიშებსა და კვლევებში მოცემული ინფორმაციის გაცნობის საჭიროების გარეშე.

8. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა უნდა მოახდინოს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ით „შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა" განსაზღვრული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმის ადაპტირება იმ დონემდე, რამდენადაც ეს აუცილებელია ახალი ტექნოლოგიის თავისებურებების ასახვისთვის. მან უნდა მიაწოდოს ეს ადაპტირებული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა ყველა იმ რეციკლირების ბიზნესოპერატორებს, რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიას.

9. თუ ტექნოლოგია იყენებს რეციკლირების სქემას, ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა უნდა იმოქმედოს როგორც ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულმა რეციკლირების მმართველმა. არ გამოიყენება მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები ასევე მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი.

10. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი დიალოგი ყველა იმ რეცილკირების ბიზნესოპერატორთან, რომელიც იყენებს ახალ ტექნოლოგიას, რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა ახალი ტექნოლოგიის ფუნქციონირებისა პლასტმასის საწყისი ნედლეულის დეკონტამინაციის შესაძლებლობის შესახებ. მან უნდა აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები, რომლებშიც აისახება განხილული საკითხები და ტექნოლოგიის ფუნქციონირებისა და დეკონტამინაციის შესაძლებლობის შესახებ მიღებული დასკვნები. აღნიშნული ჩანაწერები, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოსათვის

11. სააგენტომ, რომელსაც მიეწოდება შეტყობინება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შეტყობინებიდან 5 თვის განმავლობაში უნდა გადაამოწმოს, შესრულდა თუ არა პირველი, მე-2-10-ე პუნქტებში მითითებული მოთხოვნები და ამის შემდეგ რეგულარულად უნდა შეამოწმოს მე-11 პუნქტიდან გამომდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობა.

12. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო ჩათვლის, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ

არის დაკმაყოფილებული, მან უნდა აცნობოს ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტს თავისი მოსაზრება და შეუძლია დაავალოს მას, გადადოს პირველი დეკონტამინაციის დანადგარის ექსპლუატაციაში გაშვება მე-3-4-ე პუნქტის შესაბამისად, სანამ ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამის ზომებს არ მიიღებს.

13. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელმა სუბიექტმა სააგენტოს უნდა აცნობოს, თუ როგორ იქნა გათვალისწინებილი აღნიშნული საკითხები, ან განმარტოს, თუ რატომ მიიჩნევს, რომ რაიმე შესაბამისი ზომების განხორციელება აუცილებელი არ არის.

14. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რეციკლირებულ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების უვნებლობასთან დაკავშირებით, ამის შესახებ უნდა ეცნობოს სააგენტოს.

მუხლი 12. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით რეციკლირების დანადგარების ექსპლუატაციის პირობები

1.რეციკლირების დანადგარი, რომელიც გამოიყენება ახალ რეციკლირების ტექნოლოგიაში, უნდა ეფუძნებოდეს რეციკლირების ახალ ტექნოლოგიას, რომლის შესახებ შეტყობინება განხორციელებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-3-4-ე პუნქტების შესაბამისად.

2.რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია დაიცვას ამ ტექნიკური რეგლამენტის 26-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული მოთხოვნები.

3.ახალი ტექნოლოგიის განვითარების მიზნით გამოყენებული რეციკლირების დანადგარი შეიძლება ფუნქციონირებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი ერთი ან რამდენიმე სპეციალური მოთხოვნისგან გადახვევით, ან გამოიყენებდეს მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ რეციკლირების სქემას, იმ პირობით, რომ თითოეული ასეთი გადახვევა ან აღნიშნული სქემის გამოყენება დასაბუთებულია მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განმარტებით.

4.რეციკლირების ბიზნესოპერატორს უნდა ჰქონდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტირებული დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ რეციკლირების დანადგარში წარმოებული რეციკლირებული პლასტმასი აკმაყოფილებს N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია.

5.რეციკლირების ბიზნესოპერატორს უნდა ჰქონდეს შევსებული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა, რომელიც შედგენილია ახალი ტექნოლოგიის შემმუშვებელი სუბიექტის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოწოდებული ადაპტირებული ფორმის საფუძველზე.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია, მასთან დაკავშირებული ყველა დამადასტურებელი დოკუმენტები და ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა, მოთხოვნის

შემთხვევაში, უნდა წარედგინოს როგორც ახალი ტექნოლოგიის შემმუშვებელ სუბიექტს, ისე სააგენტოს.

მუხლი 13. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით რეციკლირების დანადგარის შესახებ დამატებით ინფორმაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. რეციკლირების ბიზნესოპერატორმა, დეკონტამინაციის დანადგართან დაკავშირებით, უნდა უზრუნველყოს შემდეგი დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ა) ახალი რეციკლირების ტექნოლოგიის შეჯამება, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას;

ბ) რეციკლირების დანადგარისა და მასში გამოყენებული რეციკლირების პროცესის სრული აღწერის შეჯამება, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 500 სიტყვას. აღნიშნულმა შეჯამებამ უნდა დაადასტუროს ამ დანადგარის გამოყენებით წარმოებული რეციკლირებული პლასტმასის უვნებლობა და უნდა ეფუძნებოდეს ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ინფორმაციას, აგრეთვე მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებულ შეფასების კრიტერიუმებს;(ხ)

გ) დეტალური ბლოკ-სქემა, რომელშიც მოცემულია რეციკლირების დანადგარის ძირითადი წარმოების ეტაპების თანმიმდევრობა, მათ შორის, რეციკლირების ობიექტზე განხორციელებული ყველა ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაცია;

დ) დეკონტამინაციის პროცესის მილსადენებისა და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოები (Piping and Instrumentation Diagram – P&ID) სქემა, ISO 10628-1:2014-ის (Diagrams for the chemical and petrochemical industry. Part 1: Specification of diagrams) ნაწილი 4.4-ის შესაბამისად, რომელზეც ნაჩვენებია მხოლოდ დეკონტამინაციის პროცესთან დაკავშირებული საკონტროლო-გამზომი მოწყობილობები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტსა და რეციკლირების ბიზნესოპერატორს შორის მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ახალი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია რეციკლირების დანადგარის ექსპლუატაციისა და განვითარების, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ან იმ შემთხვევაში, თუ ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი ცვლის ახალ ტექნოლოგიას ან აგროვებს ახალ მონაცემებს მისი წარმადობის ან ფუნქციონირების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.(p.2)

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, დამხმარე დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე შემდეგ ელემენტებს:(p.3)

ა) ინფორმაცია პლასტმასის საწყისი ნედლეულის შემადგენლობაში

DRAFT

არსებული შემთხვევითი დაბინძურების დონის, აგრეთვე დაბინძურების სხვა ტიპებისა და მათი დონეების შესახებ, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ახალი პლასტმასი არ აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლით დადგენილ ერთ ან რამდენიმე მოთხოვნას;(a)

ბ) ინფორმაცია დაბინძურების გამომწვევი ნივთიერებების რაოდენობის ან პროცენტული მაჩვენებლის შესახებ, რომელთა მოცილება შესაძლებელია დეკონტამინაციის პროცესის საშუალებით (შემდგომში – „დეკონტამინაციის ეფექტიანობა“);

გ) ინფორმაცია დეკონტამინაციის პროცესის შედეგად დარჩენილი სავარაუდო ნარჩენი დაბინძურების შესახებ, დეკონტამინაციის ეფექტიანობის გათვალისწინებით, მათ შორის, პოტენციურად დარჩენილი გენოტოქსიკური და ენდოკრინული სისტემის დამრღვევი ნივთიერებების, აგრეთვე N304 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნივთიერებების შესახებ, მაშინაც კი, თუ მათი არსებობის ალბათობა გამოყენებული ანალიზის მეთოდების აღმოჩენის ზღვარზე ნაკლებია;

დ) ინფორმაცია დეკონტამინაციის პროცესში მოცილებული დამაბინძურებლების შემდგომი მდგომარეობის შესახებ;

ე) ინფორმაცია რეციკლირებულ პლასტმასის მასალაში ან ნაკეთობაში არსებული ნარჩენი დაბინძურების სურსათში მიგრაციის შესახებ, მას შემდეგ, რაც იგი შემდგომი დამუშავების პროცესს გაივლის რეციკლირების პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, იმ მასალებისა და ნაკეთობებისათვის განსაზღვრული გამოყენების პირობების გათვალისწინებით, რომლებზეც აღნიშნული ინფორმაცია ვრცელდება;

ვ) ამ პუნქტის „ა–ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციაზე დაფუძნებული რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების უვნებლობის საერთო დასაბუთება, განხილვა და დასკვნა;

ზ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია მუდმივად უნდა განახლდეს და ეფუძნებოდეს აღნიშნული საკითხების შესახებ უახლეს ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მათ შორის:

ზ.ა) პლასტმასის საწყისი ნედლეულის მიმწოდებლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას;

ზ.ბ) რეციკლირებული პლასტმასის მომხმარებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას;

ზ.გ)ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას;

ზ.დ) ამ რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დიალოგის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას.

მუხლი 14. დაბინძურების დონის მონიტორინგი და ანგარიშგება

1.რეციკლირების ბიზნესოპერატორი, რომელიც ამ რეგლამენტის მე-12 მუხლით

განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს დეკონტამინაციის დანადგარის ექსპლუატაციას, ვალდებულია განახორციელოს დაბინძურების საშუალო დონის მონიტორინგი წარმომადგენლობითი ნიმუშების აღების სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს პლასტმასის საწყისი ნედლეულის პარტიებისა და მათი შესაბამისი, უკვე დეკონტამინირებული გამომავალი პარტიების ნიმუშების აღებას. ნიმუშების აღების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ფაქტორს, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პლასტმასის საწყისი ნედლეულის შემადგენლობაზე, და, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პლასტმასის საწყისი ნედლეულის წარმოშობის გეოგრაფიულ ან სხვა სახის განსხვავებებს. ნიმუშების აღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

ა) თავდაპირველად ნიმუშების აღება უნდა მოიცავდეს პლასტმასის საწყისი ნედლეულის ყველა პარტიას და მათ შესაბამის გამომავალ პარტიას. თუმცა, მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება სტაბილური საშუალო მაჩვენებლები, ნიმუშების აღების სიხშირე შეიძლება შემცირდეს. ნიმუშების აღების სიხშირე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს:

ა.ა) პლასტმასის საწყისი ნედლეულის ყველა პარტიის დაბინძურების დონეების ცვლილების ტენდენციების და/ან სხვა ცვლილებების გამოვლენას;

ა.ბ) დადგინდეს, არის თუ არა დამაბინძურებლების არსებობა განმეორებითი დაბინძურებით გამოწვეული;

ბ) თუ რეციკლირების პროცესის თავისებურებების გამო ნიმუშების აღების სიხშირის განსაზღვრა პლასტმასის საწყისი ნედლეულის პარტიების მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია, იგი უნდა განისაზღვროს რეციკლირების პროცესში იმ უახლოესი წინასწარი დამუშავების ეტაპზე გამოყენებული პარტიების მიხედვით, სადაც პარტიების საფუძველზე ნიმუშების აღების სიხშირის განსაზღვრა ჯერ კიდევ პრაქტიკულად შესაძლებელია;

გ) გამომავალ მასალაში ნარჩენი დამაბინძურებლების დონე უნდა განისაზღვროს მანამდე, ვიდრე გამომავალ მასალას სხვა მასალის დამატებით განზავება განხორციელდება. თუ გამომავალ მასალაში დამაბინძურებლების დონე გამოყენებული ანალიზური მეთოდებით რაოდენობრივად ვერ განისაზღვრება, რადგან იგი ამ მეთოდების რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვარზე (LOQ) დაბალია, გამომავალი მასალის რუტინული მონიტორინგი შეიძლება ჩანაცვლდეს ერთი ან რამდენიმე მიზნობრივი კვლევით. აღნიშნული კვლევები უნდა ჩატარდეს გამომავალი მასალის პარტიების შეზღუდულ რაოდენობაზე ისეთი ანალიზური მეთოდების გამოყენებით, რომელთა რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვარი საკმარისად დაბალია დეკონტამინაციის დანადგარში მიღწეული რეალური დეკონტამინაციის ეფექტიანობის დასადგენად. თუ გამომავალ მასალაში ნარჩენი დაბინძურების დონე იმდენად დაბალია, რომ მისი რაოდენობრივი განსაზღვრა შეუძლებელია, გამოყენებული მეთოდების აღმოჩენის ზღვარი (limit of detection) უნდა იყოს საკმარისად დაბალი იმის დასადასასტურებლად, რომ დეკონტამინაციის ეფექტიანობა საკმარისია იმის

უზრუნველსაყოფად, რომ რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები აკმაყოფილებდეს N 317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაბინძურების დონის განსაზღვრისათვის საჭირო ანალიზებისა და გამოცდების განმახორციელებელი ლაბორატორიები ვალდებული არიან რეგულარულად მონაწილეობდნენ აღნიშნული მიზნისათვის შესაბამის პროფესიული ტესტირების (proficiency testing) პროგრამებში და აჩვენებდნენ დამაკმაყოფილებელ შედეგებს. ლაბორატორიამ ასეთ პროგრამაში პირველად მონაწილეობა უნდა მიიღოს რეციკლირების ობიექტის ექსპლუატაციის დაწყებამდე.

3.რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია, სულ მცირე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ამ რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომზადებული განახლებული დასაბუთება, თუ მონიტორინგის მონაცემების საფუძველზე აღნიშნული დასაბუთება შეიცვალა.

4. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტი ვალდებულია, სულ მცირე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ანგარიში, რომელიც ეფუძნება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ყველა იმ დანადგარიდან მიღებულ უახლეს ინფორმაციას, სადაც გამოიყენება აღნიშნული ახალი ტექნოლოგია.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ანგარიში უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) ახალი ტექნოლოგიის მოკლე აღწერილობა, რომელიც ეფუძნება მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით, მათ შორის „ა“, „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის ჩათვლით

ბ) ახალი ტექნოლოგიისა და რეციკლირების პროცეს(ებ)ის შესაძლებლობის შესახებ დასაბუთების შეჯამება, რომ აღნიშნულ ტექნოლოგიასა და პროცესებს შეუძლიათ ისეთი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოება, რომლებიც შეესაბამება N317 დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია,ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ა - ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაციისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) 1000 დალტონზე ნაკლები მოლეკულური მასის მქონე ყველა ნივთიერების ჩამონათვალი, რომლებიც გამოვლენილია თითოეული დეკონტამინაციის დანადგარისთვის გამოყენებულ პლასტმასის საწყის ნედლეულში და შესაბამისი დეკონტამინაციის პროცესის შედეგად მიღებულ რეციკლირებულ პლასტმასაში. აღნიშნული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს ნივთიერებების გამოვლენის ფარდობითი სიხშირის ან რაოდენობრივი გავრცელების კლების მიხედვით. ამასთან, საწყის ნედლეულში გამოვლენილი შემთხვევითი დამაბინძურებლების სულ მცირე პირველი 20 ნივთიერება უნდა იყოს იდენტიფიცირებული, ხოლო თითოეული მათგანის

რაოდენობა მითითებული უნდა იყოს როგორც საწყისი ნედლეულის, ისე მიღებული რეციკლირებულ პლასტმასის მასური წილის სახით;

დ) პლასტმასის საწყის ნედლეულში რეგულარულად არსებული დამაბინძურებელი მასალების ჩამონათვალი, მათ შორის:

დ.ა)პლასტმასის საწყისი ნედლეულისთვის განკუთვნილი პოლიმერის ტიპისგან განსხვავებული სხვა პოლიმერები;

დ.ბ) პლასტმასები, რომლებიც არ არის განკუთვნილი სურსათთან შეხებისთვის;

დ.გ) სხვა მასალები, რომლებიც გამოვლენილია ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პლასტმასის საწყის ნედლეულსა და რეციკლირებულ პლასტმასში.

ე) ამ პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული იდენტიფიცირებული დამაბინძურებლების ყველაზე სავარაუდო წარმოშობის ანალიზი და და შეფასება იმისა, შეიძლება თუ არა აღნიშნულმა წარმოშობის წყაროებმა განაპირობოს სხვა მნიშვნელოვანი ნივთიერებების ერთდროული არსებობა, რომლებიც გამოყენებული ანალიზური მეთოდებით ან არ არის გამოვლენილი, ან მათი იდენტიფიცირება ვერ განხორციელდა;

ვ) რეციკლირებულ პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებში არსებული დამაბინძურებლების სურსათში მიგრაციის დონის გაზომვა ან შეფასება;

ზ)გამოყენებული ნიმუშების აღების სტრატეგიის დეტალური აღწერა;

თ) გამოყენებული ანალიზური პროცედურებისა და მეთოდების დეტალური აღწერა, მათ შორის, ნიმუშების აღების პროცედურები და აღმოჩენისა და რაოდენობრივი განსაზღვრის ზღვარი, აგრეთვე ვალიდაციის მონაცემები და მათი შესაბამისობის დასაბუთება;

ი) პლასტმასის საწყის ნედლეულში მოსალოდნელ და დანადგარიდან მიღებულ რეციკლირებულ პლასტმასში აღმოჩენილ დამაბინძურებლების დონეებს შორის გამოვლენილი ნებისმიერი შეუსაბამობის ანალიზი და განმარტება, აგრეთვე დეკონტამინაციის ეფექტიანობის შეფასება „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებისა და „გ“ ქვეპუნქტით მიღებული ფაქტობრივი შედეგების საფუძველზე;

კ) ამ პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებულ წინა ანგარიშებთან არსებული განსხვავებების განხილვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 15. ახალი ტექნოლოგიების შეფასება

1.სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის (ბიზნესოპერატორის) მოთხოვნის საფუძველზე, დაიწყოს ახალი ტექნოლოგიის შეფასების პროცედურა, თუ ხელმისაწვდომია საკმარისი სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაცია აღნიშნული ტექნოლოგიის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. სააგენტო უფლებამოსილია ერთ შეფასების პროცესში მოიცვას სხვა მსგავსი ან იდენტური ახალი ტექნოლოგიები.

2.ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტს შეუძლია სააგენტოს

წარუდგინოს მოთხოვნა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეფასების პროცესის დაწყების შესახზებ, დეკონტამინაციის დანადგართან დაკავშირებით, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სულ მცირე ოთხი თანმიმდევრული ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ.

3.ახალი ტექნოლოგიის შეფასების მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, შეფასების პროცედურის დაწყება გადადოს არაუმეტეს ორი წლით, როდესაც მიიჩნევს, რომ ახალი ტექნოლოგიის შესახებ არსებული სამეცნიერო ცოდნა და მონაცემები ჯერ კიდევ არასაკმარისია შეფასების განსახორციელებლად ან, როდესაც სხვა ოპერატორები შეიმუშავებენ იმავე ან არსებითად მსგავს ახალ ტექნოლოგიებს.

4. სააგენტო აფასებს დეკონტამინაციის ტექნოლოგიის შესაბამისობას სრული რეციკლირების ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სამეცნიერო ექსპერტიზის ჩატარებას.

5. შეფასება უნდა მოიცავდეს კონკრეტული პლასტმასის ნედლეულის დეკონტამინაციისთვის გამოყენებული ქიმიური და/ან ფიზიკური პროცესების ეფექტიანობის შეფასებას, მათ შორის მათი უნარის შეფასებას, უზრუნველყონ დამაბინძურებლების შემცირება იმ დონემდე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებული რეციკლირებული პლასტმასისგან წარმოებული მასალები და ნაკეთობები შეესაბამებოდეს N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შეფასება ასევე უნდა ითვალისწინებდეს რეციკლირებული პლასტმასის მიკრობიოლოგიურ უვნებლობას.

6. ახალი ტექნოლოგიის შეფასების მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში სააგენტო აქვეყნებს შეფასების შედეგების შესახებ დასკვნას. აღნიშნული დასკვნა უნდა მოიცავდეს:

ა) რეციკლირების ტექნოლოგიის აღწერას და დახასიათებას, მათ შორის ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლების გათვალისწინებით;

ბ) ახალი ტექნოლოგიის შესაძლებლობის შეფასებას, უზრუნველყოს პლასტმასის ნარჩენების ეფექტიანი რეციკლირება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასება უნდა მოიცავდეს დეკონტამინაციისთვის გამოყენებული ქიმიური და/ან ფიზიკური პრინციპების ეფექტიანობის ანალიზს; ტექნოლოგიის გამოყენებასთან, აგრეთვე მის საფუძველზე მოქმედ რეციკლირების პროცესებთან და დანადგარებთან დაკავშირებული შესაძლო საკითხებისა და შეზღუდვების იდენტიფიცირებას და იმ აუცილებელი პირობების, სპეციფიკაციებისა და მოთხოვნების განსაზღვრას, რომლებიც საჭიროა აღნიშნული ტექნოლოგიის უსაფრთხო და ეფექტიანი გამოყენებისთვის;

გ) დასკვნას იმის შესახებ, საჭიროებს თუ არა აღნიშნული რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული ინდივიდუალური რეციკლირების პროცესები დამატებით შეფასებას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18-21-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

DRAFT

დ) თუ სააგენტო დაასკვნის, რომ ახალი რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული კონკრეტული რეციკლირების პროცესები საჭიროებს ინდივიდუალურ შეფასებას, სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი მითითებებისა და შეფასების მოთხოვნების განსაზღვრას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-21 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ე) თუ სააგენტო დაასკვნის, რომ ინდივიდუალური რეციკლირების პროცესების ცალკეული შეფასება არ არის საჭირო, ბიზნესოპერატორმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია ახალი რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენების პირობების, პროცესის კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის „გ-ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

7. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ახალი ტექნოლოგიის სრულყოფილად შეფასებისთვის საჭიროა დამატებითი ან ახალი ექსპერტების ჩართვა, სააგენტო უფლებამოსილია გაახანგრძლივოს ამ მუხლის მე-4-5-ე პუნქტებით განსაზღვრული შეფასების ვადა არაუმეტეს ერთი წლით.

8. თუ შეფასების დასრულებისთვის აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება, სააგენტო უფლებამოსილია ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტ(ებ)ს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 და მე-13 მუხლების შესაბამისად მომზადებული მონაცემების, აგრეთვე სხვა ინფორმაციის ან განმარტებების წარმოდგენა, რომლებიც სააგენტოს შეფასების განსახორციელებლად აუცილებლად მიაჩნია. დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის ვადას განსაზღვრავს სააგენტო. აღნიშნული ვადა საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო მოითხოვს დამატებით ინფორმაციას, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შეფასების დასკვნის მომზადებისა და გამოქვეყნების ვადა შეჩერდება მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე, თუ ასეთი ინფორმაცია საჭიროა შეფასების მიზნებისთვის.

9. სააგენტო უფლებამოსილია, კონკრეტული ახალი ტექნოლოგიის შეფასების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-4-7-ე პუნქტებით განსაზღვრული ვადები შეცვალოს, თუ ამის აუცილებლობა გამოწვეულია შეფასების სირთულით, დამატებითი სამეცნიერო ან ტექნიკური მონაცემების საჭიროებით ან სხვა დასაბუთებული გარემოებით. ვადების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტო კონსულტაციას გადის შესაბამის ექსპერტებთან და ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სებიექტ(ებ)თან.

10. სურსათის/ცხოვლეის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით და N317 დადგენილებით მე-14 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული მუხლები, საჭირო ცვლილებების *(mutatis mutandis)* გათვალისწინებით ვრცელდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციაზე. ამ მიზნით, შეფასების ფარგლებში მოქცეული ახალი ტექნოლოგიის ან ტექნოლოგიების შემმუშავებელი სუბიექტი მიიჩნევა განმცხადებლად.

11. ტექნოლოგიების შეფასების მიზნით, სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს იმ დამატებითი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც იგი მოითხოვს რეციკლირების ბიზნესოპერატორის მიერ გამოყენებულ კონკრეტულ რეციკლირების პროცესებისა და დანადგარებისათვის დამახასიათებელ ასპექტებთან დაკავშირებით. ამასთან, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და აგრეთვე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია კონფიდენციალურად არ ჩაითვლება.

12. ამ მუხლის მე-10-11-ე პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაცია არ შეიძლება მიწოდებული იქნეს სხვა ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტისათვის, რეციკლირების ბიზნესოპერატორისათვის ან მესამე პირებისათვის, აღნიშნული ინფორმაციის მფლობელის თანხმობის გარეშე.

13. როდესაც სხვა ახალი ტექნოლოგიების შემმუშავებელი სუბიექტები, რომელთა ტექნოლოგიები არ ექვემდებარება მიმდინარე შეფასებას, გამოაქვეყნებენ შეფასებისთვის რელევანტურ ახალ ინფორმაციას, სააგენტოს უფლება აქვს, ეს ინფორმაცია შეფასების პროცესში გაითვალისწინოს.

მუხლი 16. ახალი ტექნოლოგიის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება

1.წარმოდგენილი დასკვნის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნებისა და განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ახალი ტექნოლოგია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ახალ სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიას, თუ იგი უნდა იქნეს შეტანილი არსებულ სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიაში.

2. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ახალი ტექნოლოგია წარმოადგენს სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიას, იგი, საჭიროების შემთხვევაში, ადგენს ამ ტექნოლოგიის მიმართ მოქმედ სპეციფიკურ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას, ექვემდებარება თუ არა ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მიმდინარე რეციკლირების პროცესები ავტორიზაციას და უნდა მოიცავდეს თუ არა იგი რეციკლირების სქემის გამოყენებას.

3. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიის გამოყენებით მიმდინარე რეციკლირების პროცესები უნდა დაექვემდებაროს ავტორიზაციას, იგი ადგენს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-3-4 პუნქტების შესაბამისად სააგენტოსთვის წარდგენილი რეციკლირების დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

4. ტექნოლოგია, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არ იქნა მიჩნეული სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიად, აღარ ჩაითვლება ახალ ტექნოლოგიად. ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელ სუბიექტს უფლება აქვს, აღნიშნული ტექნოლოგია გამოიყენოს სხვა ახალი ტექნოლოგიის განვითარების საფუძვლად, იმ პირობით, რომ იგი არსებითად იქნება შეცვლილი, რათა აღმოიფხვრას

DRAFT

სააგენტოს ან/და ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები.

მუხლი 17. დაცვის მექანიზმი ახალი ან სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით წარმოებული რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით

1. სააგენტოს, დაინტერესებული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, შეუძლია შეაფასოს, არსებობს თუ არა საფუძველი კონკრეტული რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით წარმოებული რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ბაზარზე განთავსების პირობების შესაცვლელად ან მათი ბაზარზე განთავსების სრულად აკრძალვისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექნოლოგია მიჩნეულია სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიზნით, ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი სუბიექტ(ებ)ი, რეციკლირების პროცესების ან დანადგარების შემმუშავებლები ან მიმწოდებლები, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ ტექნოლოგიას, მათ შორის ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები, ასევე რეციკლირების ბიზნესოპერატორები და შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორები სააგენტოს წარუდგენენ მათ ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას აღნიშნული რეციკლირების ტექნოლოგიის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია კონსულტაციისთვის მიმართოს შესაბამის ექსპერტებს.

3. სააგენტოს შეუძლია ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ პირებს დაავალოს კონკრეტული მონიტორინგის პროგრამის განხორციელება ან მიგრაციის ტესტირების (migration testing) ჩატარება. სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს ვადები, რომლის ფარგლებშიც აღნიშნულმა პირებმა უნდა წარუდგინონ მოთხოვნილი ინფორმაცია ან შესაბამისი ანგარიშები.

4. განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, სააგენტოს შეუძლია:

ა) საჭიროების შემთხვევაში, დაადგინოს აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სპეციფიკური მოთხოვნები;

ბ) მიიჩნიოს, რომ რეციკლირების ტექნოლოგია აღარ წარმოადგენს სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიას.

5. თუ სააგენტო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ რეციკლირების ტექნოლოგია აღარ აკმაყოფილებს სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიის მოთხოვნებს, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დებულებები.

თავი V

ინდივიდუალური რეციკლირების პროცესების ავტორიზაციის პროცედურა

მუხლი 18. ინდივიდუალური რეციკლირების პროცესების ავტორიზაციის შესახებ განაცხადი

1. ინდივიდუალური რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის მისაღებად, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა (შემდგომში – „განმცხადებელი“), რომელმაც შეიმუშავა რეციკლირების პროცესისათვის განკუთვნილი დეკონტამინაციის პროცესი საკუთარი გამოყენებისათვის, სხვა რეციკლირების ბიზნესოპერატორების მიერ გამოყენებისათვის ან დეკონტამინაციის დანადგარების გაყიდვის მიზნით, უნდა წარადგინოს განაცხადი ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. განმცხადებელმა განაცხადი უნდა წარუდგინოს სააგენტოს, რომელსაც თან უნდა ახლდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) განმცხადებლის დასახელება და მისამართი;

ბ) ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციას;

გ) ტექნიკური დოკუმენტაციის მოკლე აღწერა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სააგენტო ვალდებულია:

ა) განაცხადის მიღებიდან 14 დღის ვადაში, წერილობით დაუდასტუროს განმცხადებელს განაცხადის მიღება და მიუთითოს მისი მიღების თარიღი;

ბ) უზრუნველყოს ავტორიზაციისათვის განაცხადისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

4. სააგენტო ვალდებულია, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს განაცხადის, შესაბამისი დამხმარე ინფორმაციისა და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროება, N317 დადგენილების მე-14 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

5. ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სააგენტოს მიერ, ამ ტექნიკური რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებული დეტალური სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ ყველა შესაბამის ინფორმაციას;

ბ) პლასტმასის საწყისი ნედლეულის წინასწარი დამუშავების პროცესის აღწერას, რომლის შედეგადაც მიიღება დეკონტამინაციის პროცესისთვის შესაფერისი პლასტმასის საწყისი ნედლეული, აგრეთვე შეგროვებისა და წინასწარი დამუშავების ეტაპებზე გამოყენებული ხარისხის კონტროლის კონკრეტული პროცედურების აღწერას, მათ შორის - წინასწარ დამუშავებული პლასტმასის საწყისი ნედლეულის დეტალურ სპეციფიკაციას;

გ) დეკონტამინაციის პროცესის დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, რეციკლირებული პლასტმასის შემდგომი დამუშავების პროცესის აღწერას, აგრეთვე მიღებული რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების დანიშნულების, მათ შორის, მიზნობრივი გამოყენებისა და გამოყენების შეზღუდვების აღწერას, ასევე

შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის განკუთვნილ შესაბამის ინსტრუქციებსა და ეტიკეტირების მოთხოვნებს;

დ) დეკონტამინაციის პროცესში გამოყენებული ყველა ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციის მარტივ ბლოკ-სქემას, რომელიც უნდა ასახავდეს თითოეული ოპერაციისთვის შემავალ პლასტმასის საწყის ნედლეულს, გამომავალ პროდუქტებს და ხარისხის კონტროლის პროცედურებზე მითითებებს;

ე) დეკონტამინაციის პროცესის მილსადენებისა და ხელსაწყოების დიაგრამა (Piping and Instrumentation Diagram — P&ID), ISO 10628-1:2014 სტანდარტის 4.4 პუნქტის შესაბამისად, რომელზეც ნაჩვენები უნდა იყოს მხოლოდ დეკონტამინაციის პროცესთან დაკავშირებული შესაბამისი საზომი და საკონტროლო მოწყობილობები;

ვ) დეკონტამინაციის პროცესის ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციაზე გამოყენებული ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა, მათ შორის:

ვ.ა) კონტროლირებადი პარამეტრების მნიშვნელობები, როგორიცაა სამუშაო ტემპერატურა, წნევა, ნაკადის სიჩქარეები და კონცენტრაციები, აგრეთვე აღნიშნული პარამეტრებისთვის დასაშვები დიაპაზონები;

ვ.ბ) ლაბორატორიული გამოკვლევების(ანალიზის) ჩატარების მეთოდები და სიხშირე, არსებობის შემთხვევაში;

ვ.გ) მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებისა და ჩანაწერების წარმოების პროცედურები;

ვ.დ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც განმცხადებელი მიიჩნევს მნიშვნელოვნად თავისი ხარისხის კონტროლის პროცედურების სრულყოფილად აღწერისთვის.

6. მე-5 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად წარმოდგენილი ინფორმაცია, აგრეთვე მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარდგენილი ექვივალენტური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაცული იქნეს როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია N317 დადგენილების მე-14 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 19. სააგენტოს დასკვნა

1. სააგენტო ვალდებულია, განაცხადის მიღებიდან 6 თვის ვადაში გამოაქვეყნოს დასკვნა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა რეციკლირების პროცესს, გამოყენებული შესაბამისი რეციკლირების ტექნოლოგიის საშუალებით, აწარმოოს ისეთი პლასტმასის მასალები და ნაკეთობები, რომლებიც აკმაყოფილებს N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია.

2. სააგენტოს შეუძლია, ამ პუნქტის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადა გააგრძელოს დამატებით არაუმეტეს 6 თვის ვადით. ასეთ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია განმცხადებელს განუმარტოს ვადის გაგრძელების მიზეზი.

3. სააგენტოს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს განმცხადებელს განაცხადთან ერთად წარმოდგენილი ინფორმაციის დამატება განსაზღვრულ ვადაში,

წერილობითი ფორმით ან ზეპირი განმარტების გზით. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო ითხოვს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას, პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა შეჩერდება აღნიშნული ინფორმაციის წარდგენამდე.

4. სააგენტო:

ა) ამოწმებს, შეესაბამება თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, რის შემთხვევაშიც განაცხადი ჩაითვლება ვალიდურად;

ბ) აცნობებს განმცხადებელს, თუ განაცხადი არ არის ვალიდური.

5.სააგენტოს დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და მისამართს;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის ცხრილი N1-ის მიხედვით მინიჭებულ ნომერს იმ შესაბამისი რეციკლირების ტექნოლოგიისთვის, რომელიც გამოიყენება აღნიშნულ პროცესში;

გ) რეციკლირების პროცესის მოკლე აღწერას, მათ შორის, საჭირო წინასწარი დამუშავებისა და შემდგომი დამუშავების ეტაპების მოკლე აღწერას, პლასტმასის საწყისი ნედლეულის დახასიათებას, აგრეთვე მიღებული პროდუქტის გამოყენების პირობებსა და შეზღუდვებს;

დ) დეკონტამინაციის პროცესის ტექნოლოგიურ ბლოკ-სქემას, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს სააგენტოს მიერ შეფასებული ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა, თითოეული ოპერაციის აღწერა და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება მათი ექსპლოატაციისათვის კრიტიკული პარამეტრების კონტროლი;

ე) დეკონტამინაციის ეფექტიანობის სამეცნიერო შეფასებას ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-21 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად;

ვ) განხილვასა და დასკვნას იმის შესახებ, შეუძლია თუ არა რეციკლირების პროცესს ისეთი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოება, რომლებიც შეესაბამება N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია; მათ შორის — დასაბუთებას იმ შეზღუდვებისა და სპეციფიკაციების შესახებ, რომლებიც, სააგენტოს მოსაზრებით, უნდა გავრცელდეს პლასტმასის საწყის ნედლეულზე, დეკონტამინაციის პროცესის ტექნოლოგიურ მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, აგრეთვე რეციკლირებული პლასტმასისა და რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებაზე;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ რეკომენდაციას, რომელიც ეხება რეციკლირების პროცესის მიერ ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს.

მუხლი 20. ინდივიდუალური რეციკლირების პროცესის ავტორიზაცია

1.დასკვნის და განსახილველ საკითხთან დაკავშირებული საქართველოს

კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, სააგენტო აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული რეციკლირების პროცესი მის მიერ რეციკლირების ტექნოლოგიისათვის დადგენილ პირობებს და უზრუნველყოფს თუ არა ისეთი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოებას, რომლებიც შეესაბამება N317 დადგენილების მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიკრობიოლოგიურად უვნებელია.

2. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის ნომერს („RAN“);

ბ) რეციკლირების პროცესის დასახელებას;

გ) ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ში ჩამოთვლილ რეციკლირების ტექნოლოგიას, რომლის საფუძველზეც პროცესს მიენიჭა ავტორიზაცია;

დ) ავტორიზაციის მფლობელის დასახელებასა და მისამართს;

ე) მითითებას სააგენტოს დასკვნაზე, რომლის საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება;

ვ) დეკონტამინაციის პროცესის, წინასწარი დამუშავებისა და შემდგომი დამუშავების ოპერაციების განხორციელებისათვის დადგენილ ნებისმიერ სპეციალურ მოთხოვნას, რომელიც ადგენს დამატებით მოთხოვნებს ან ითვალისწინებს გამონაკლისებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7-10 მუხლებით დადგენილი ზოგადი მოთხოვნებიდან.

ზ) ნებისმიერ სპეციალურ მოთხოვნას, რომელიც ეხება რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგსა და გადამოწმებას (ვერიფიკაციას);

თ) ნებისმიერ პირობას, სპეციფიკაციასა და სპეციალურ ეტიკეტირების მოთხოვნას, რომელიც ეხება აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებული რეციკლირებული პლასტმასის გამოყენებას.

მუხლი 21. სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო დოკუმენტები

1. სააგენტო ვებგვერდზე აქვეყნებს განაცხადის მომზადებისა და წარდგენის შესახებ დეტალურ სახელმძღვანელო დოკუმენტს.

2. ყოველი იმ რეციკლირების ტექნოლოგიისათვის, რომლისთვისაც ინდივიდუალური რეციკლირების პროცესის ავტორიზაცია სავალდებულოა, სააგენტო აქვეყნებს სამეცნიერო სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს რეციკლირების პროცესის დეკონტამინაციის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებსა და სამეცნიერო შეფასების მეთოდოლოგიას. სახელმძღვანელო დოკუმენტში ასევე განისაზღვრება ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი განაცხადის თანმხლებ ტექნიკურ დოკუმენტაციაში შესაბამისი რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის მისაღებად.

მუხლი 22. რეციკლირების პროცესის ავტორიზაციიდან გამომდინარე ზოგადი ვალდებულებები

1.რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის მინიჭება გავლენას არ ახდენს ნებისმიერი ბიზნესოპერატორის სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე იმ რეციკლირების პროცესთან, რომელსაც მიენიჭა ავტორიზაცია, აღნიშნული პროცესის გამოყენებით მოქმედ რეციკლირების საწარმოო ობიექტთან, რეციკლირების დანადგარებთან, აღნიშნული პროცესის შედეგად მიღებულ რეციკლირებულ პლასტმასასთან, რეციკლირებული პლასტმასის მასალებსა და ნაკეთობებთან, აგრეთვე აღნიშნულ მასალებთან ან ნაკეთობებთან შეხებაში მყოფ სურსათთან დაკავშირებით.

2. ავტორიზაციის მფლობელი ან ნებისმიერი რეციკლირების ბიზნესოპერატორი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს ნებისმიერი ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ინფორმაციის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ შეფასებაზე, რომლის საფუძველზეც გაიცა ავტორიზაცია.

3. ავტორიზაციის მფლობელს უფლება აქვს, მესამე პირ(ებ)ს მისცეს დეკონტამინაციის საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის განხორციელების უფლება, როგორც რეციკლირების ბიზნესოპერატორ(ებ)ს. ავტორიზაციის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა რეციკლირების ბიზნესოპერატორმა მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია, ინსტრუქცია და მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციისა და შედეგად მიღებული რეციკლირებული პლასტმასის ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4. ავტორიზაციის მფლობელი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს საკონტაქტო ინფორმაციის, სავაჭრო ან კომპანიის დასახელების, ასევე ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ რეესტრში შეტანილი სხვა ინფორმაციის ცვლილების შესახებ და ასევე იმ სხვა ინფორმაციის ცვლილების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია რეციკლირების პროცესის ავტორიზაციისათვის.

5. ავტორიზაციის მფლობელი დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს იმ გარემოების შესახებ, როდესაც მას აღარ შეუძლია ან აღარ ექნება შესაძლებლობა შეასრულოს ავტორიზაციის მფლობელის პასუხისმგებლობები ამ მუხლის შესაბამისად. ავტორიზაციის მფლობელი წარადგენს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც სააგენტოს საშუალებას მისცემს, განსაზღვროს, საჭიროა თუ არა რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის ცვლილება ან გაუქმება.

მუხლი 23. ავტორიზაციის მფლობელის მიერ ავტორიზაციის ცვლილების მოთხოვნა

1. ავტორიზაციის მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს რეციკლირების

პროცესის ავტორიზაციის ცვლილება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის ცვლილების მოთხოვნა განიხილება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18–21-ე მუხლებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) მითითება თავდაპირველ განაცხადზე;

ბ) ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ამ რეგლამენტის 18-ე მუხლის მე-5 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას, მათ შორის, თავდაპირველ განაცხადთან დაკავშირებით ამ რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად უკვე წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში (დOსე) მოცემულ ინფორმაციას, ცვლილებების გათვალისწინებით განახლებული სახით. ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეტანილი ყველა ცვლილება (ამოღება და დამატება) მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული და თვალსაჩინოდ გამოყოფილი;

გ) ტექნიკური დოკუმენტაციის ახალი, სრული შეჯამება სტანდარტიზებული ფორმით;

დ) სულ მცირე, ერთი სრული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა, რომელიც ეხება ავტორიზებული პროცესით მოქმედ დეკონტამინაციის დანადგარს და რომელიც ამ რეგლამენტის 27-ე მუხლის შესაბამისად წარედგინა სააგენტოს, აგრეთვე მისი განახლებული ვერსია, რომელშიც ასახულია მოთხოვნილი ცვლილებიდან გამომდინარე ყველა მოსალოდნელი ცვლილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.თუ ცვლილება ეხება რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის მესამე პირისთვის გადაცემას, ავტორიზაციის მფლობელი ვალდებულია, გადაცემამდე ამის შესახებ აცნობოს სააგენტოს და მიუთითოს მესამე პირის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. ავტორიზაციის გადაცემის დროს ავტორიზაციის მფლობელი ვალდებულია მესამე პირს გადასცეს ავტორიზაციის აქტი, ტექნიკური დოკუმენტაცია და მასში შემავალი ყველა დოკუმენტი. აღნიშნული მესამე პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართოს სააგენტოს და დაადასტუროს, რომ იგი თანახმაა ავტორიზაციის გადაცემაზე, მიღებული აქვს ყველა დოკუმენტი და იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ ტექნიკური რეგლამენტითა და ავტორიზაციით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

მუხლი 24. სააგენტოს ინიციატივით რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

1.საკუთარი ინიციატივით ან ავტორიზებული პროცესის შესახებ ახალი ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო აფასებს, შეესაბამება თუ არა დასკვნა, გაცემული რეციკლირების პროცესის ავტორიზაცია და/ან რეციკლირების პროცესი კვლავ ამ

ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია კონსულტაცია გაიაროს ავტორიზაციის მფლობელთან.

2.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელახალი შეფასების დაწყებამდე სააგენტო აფასებს, საჭიროა თუ არა ავტორიზებული პროცესის ხელახალი შეფასება, მოთხოვნაში ან მის ხელთ არსებულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებების საფუძველზე. სააგენტო შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს და, თუ მიიჩნევს, რომ შეფასების ჩატარება საჭირო არ არის, აღნიშნულის შესახებ უზრუნველყოფს წერილობით განმარტებას.

3.სააგენტოს მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოქვეყნებული დასკვნის საფუძველზე, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის ცვლილების ან გაუქმების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, რეციკლირების პროცესი ან კონკრეტული დეკონტამინაციის დანადგარების ექსპლუატაცია შეიძლება შეჩერდეს, ვიდრე შესაბამისი ცვლილებები არ დაინერგება რეციკლირების დანადგარებზე. რეესტრში რეგისტრაციის სტატუსი შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

თავი VI

კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის რეგისტრაცია

მუხლი 25. ტექნოლოგიების, რეციკლირების ბიზნესოპერტორების, რეციკლირების პროცესების, რეციკლირების სქემებისა და დეკონტამინაციის დანადგარების რეესტრი

1. სააგენტოში იქმნება ახალი ტექნოლოგიების, რეციკლირების ბიზნესოპერატორების, რეციკლირების პროცესების, რეციკლირების სქემებისა და დეკონტამინაციის დანადგარების საჯარო რეესტრი (შემდგომში – „რეესტრი“).

2. რეესტრი უნდა შეიცავდეს:

ა) ახალი ტექნოლოგიების დასახელებებს, მათი შემმუშავებლების დასახელებებსა და მისამართებს, აგრეთვე ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-3-4 პუნქტებში მითითებულ ვებგვერდის მისამართს;

ბ) ავტორიზებული რეციკლირების პროცესების დასახელებებს, ავტორიზაციის მფლობელების დასახელებებსა და მისამართებს, აგრეთვე ინფორმაციას იმ ტექნოლოგიის შესახებ, რომელსაც ეფუძნება თითოეული პროცესი;

გ) თითოეული რეგისტრირებული რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის სტატუსს, მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, არის თუ არა მისი ავტორიზაცია შეჩერებული, გაუქმებული ან მასზე ვრცელდება თუ არა გარდამავალი დებულებები, აგრეთვე ავტორიზაციის სტატუსის ცვლილების უახლეს თარიღს;

დ) იმ რეციკლირების ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდებას და სათავო

ოფისის მისამართს, რომელიც ახორციელებს დეკონტამინაციის დანადგარის ექსპლუატაციას;

ე) რეციკლირების ობიექტების მისამართებს;

ვ) დეკონტამინაციის დანადგარებს, მათში გამოყენებულ ტექნოლოგიას, იმ ობიექტს, სადაც ისინი განთავსებულია, და გამოყენებულ ავტორიზებულ პროცესს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ზ) დეკონტამინაციის დანადგარების რეგისტრაციის სტატუსს, მათ შორის ინფორმაციას იმის შესახებ, არის თუ არა სტატუსი ახლად რეგისტრირებული, დაფუძნების პროცესში მყოფი, მოქმედი ან შეჩერებული, აგრეთვე აღნიშნული სტატუსის ცვლილების უახლეს თარიღს;

თ) რეციკლირების სქემების დასახელებებს და სქემის მმართველი სუბიექტის დასახელებასა და მისამართს;

ი) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილ აღნიშვნებს;

კ) საჭიროების შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას;

ლ) ტექნოლოგიებს, რეციკლირების პროცესებს, რეციკლირების სქემებს, რეციკლირების ბიზნესოპერატორებს, დეკონტამინაციის დანადგარებსა და სქემებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ ინფორმაციას.

3. რეესტრში ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციას შენახული უნდა იქნეს ცხრილების სახით. რეესტრში თითოეულ ობიექტს მინიჭებული უნდა ჰქონდეს უნიკალური ნომერი შემდეგი წესის მიხედვით:

ა) ავტორიზებულ რეციკლირების პროცესებს ენიჭება რეციკლირების ავტორიზაციის ნომერი - („RAN“);

ბ) რეციკლირების ბიზნესოპერატორებს ენიჭება რეციკლირების ბიზნესოპერატორის ნომერი - („RON“);

გ) დეკონტამინაციის დანადგარებს ენიჭება რეციკლირების დანადგარის ნომერი - („RIN“);

დ) რეციკლირების სქემებს ენიჭება რეციკლირების სქემის ნომერი - („RSN“);

ე) რეციკლირების ობიექტებს ენიჭება რეციკლირების ობიექტის ნომერი - („RFN“);

ვ) ახალ რეციკლირების ტექნოლოგიებს ენიჭება ახალი ტექნოლოგიის ნომერი - („NTN“).

4. რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

მუხლი 26. რეციკლირების ბიზნესოპერატორისა და დეკონტამინაციის დანადგარების რეგისტრაცია

1.რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი ადმინისტრაციული მოთხოვნები:

ა) დეკონტამინაციის დანადგარში რეციკლირებული პლასტმასის წარმოების დაწყებამდე სულ მცირე 30 სამუშაო დღით ადრე, რეციკლირების ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა აცნობოს:

ა.ა) დეკონტამინაციის დანადგარის შესახებ და იმ ობიექტის მისამართი, სადაც იგი მდებარეობს, ან ობიექტის ნომერი;

ა.ბ) საკუთარი რეგისტრაციის ნომერი, თუ რეციკლირების ბიზნესოპერატორი უკვე რეგისტრირებულია;

ა.გ) რეციკლირების ავტორიზაციის ნომერი, თუ იგი ავტორიზებულ პროცესს იყენებს; და

ა.დ) შესაბამისი ან ახალი ტექნოლოგიის ნომერი, შესაბამისობის მიხედვით;

ბ) პირველი დეკონტამინაციის დანადგარის შესახებ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინებისას, რეციკლირების ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა აცნობოს:

ბ.ა) საწარმოს სახელწოდება;

ბ.ბ) საკონტაქტო პირები;

ბ.გ) სათავო ოფისის მისამართი.

გ) რეციკლირების ბიზნესოპერატორს ხელმისაწვდომი უნდა ჰქონდეს რეციკლირების დანადგარზე დანართი N2-ის შესაბამისად შევსებული შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა და იგი 27-ე მუხლის შესაბამისად უნდა წარუდგინოს სააგენტოს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების შემდეგ, დეკონტამინაციის დანადგარი რეგისტრირებული უნდა იქნეს სააგენტოს რეესტრში, ხოლო მისი რეგისტრაციის სტატუსი 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა იყოს როგორც „ახლად რეგისტრირებული“.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას, არსებობის შემთხვევაში, იმ ავტორიზებულ რეციკლირების პროცესზე, რომლის საფუძველზეც ხორციელდება დეკონტამინაციის დანადგარის ექსპლუატაცია, ასევე იმ შესაბამის ან ახალ ტექნოლოგიაზე, რომელსაც იგი იყენებს, და, შესაბამის შემთხვევაში, იმ რეციკლირების სქემაზე, რომელსაც იგი ექვემდებარება.

4. თუ რეგისტრაციისთვის ადრე მიწოდებულ ინფორმაციაში რაიმე ცვლილება მოხდა, რეციკლირების ბიზნესოპარატორი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 27. შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა და დეკონტამინაციის დანადგარის მუშაობის შემოწმება

1. რეციკლირების ბიზნესოპერატორი ვალდებულია, მის კონტროლქვეშ არსებული თითოეული დეკონტამინაციის დანადგარისთვის შეადგინოს შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2-ით

განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, ხოლო ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში — ტექნოლოგიის შემქმნელის მიერ მოწოდებული ფორმის შესაბამისად, თუ ეს ფორმა განსხვავდება დანართიN2-ით განსაზღვრული ფორმისგან. ამასთან:

ა) შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა უნდა შეიცავდეს რეციკლირების დანადგარის, მისი მუშაობის, შესაბამისი პროცედურებისა და დოკუმენტების მკაფიო აღწერილობით შეჯამებას, რომელიც ადასტურებს ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობას;

ბ) რეციკლირების ბიზნესოპერატორებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული, შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელ ფორმასთან დაკავშირებული მოქმედი სახელმძღვანელო მითითებები, აგრეთვე იმ კონკრეტული რეციკლირების ობიექტის სპეციფიკური პირობები, სადაც აღნიშნული დანადგარია განთავსებული.

2. რეციკლირების ბიზნესოპერატორმა შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა უნდა წარუდგინოს სააგენტოს, აღნიშნული დანადგარის გამოყენებით რეციკლირებული პლასტმასის წარმოების დაწყების დღიდან ერთი თვის ვადაში. ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს და განისაზღვროს როგორც „შესაბამისობის დადგენის პროცესში“ .

3. სააგენტომ უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელ ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაცია ამ ტექნიკურ რეგლამენტს და, ამ მიზნით, 28-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განახორციელოს რეციკლირების დანადგარის შემოწმება. ამასთან,

ა) თუ შესაბამისობის დადგენა შეუძლებელია, სააგენტომ საჭიროებისამებრ, უნდა მოსთხოვოს რეციკლირების ბიზნესოპერატორს განაახლოს ინფორმაცია შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელ ფორმაში, შეცვალოს რეციკლირების დანადგარის მუშაობა, ან განახორციელოს ორივე მოქმედება;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს და განისაზღვროს როგორც „აქტიური“ .

4. თუ რეციკლირებული პლასტმასის წარმოების დაწყებიდან ერთი წლის ვადაში სააგენტო ვერ დაადგენს დეკონტამინაციის დანადგარის შესაბამისობას ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან, ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული დანადგარის რეგისტრაციის სტატუსი უნდა შეიცვალოს და განისაზღვროს როგორც „შეჩერებული“. თუ დეკონტამინაციის დანადგარის რეგისტრაციის სტატუსი ერთი წლის განმავლობაში „შეჩერებულია“, აღნიშნულ დანადგართან დაკავშირებული ჩანაწერი უნდა ამოიშალოს რეესტრიდან.

DRAFT

თავი VII.
სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 28. რეციკლირების დანადგარების სახელმწიფო კონტროლი

1.რეციკლირების დანადგარებისა და რეციკლირების ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლი, უნდა მოიცავდეს აუდიტს, რომელიც ხორციელდება N24 დადგენილების მე-14 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვულ აუდიტს უნდა დაემატოს:

ა) კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ პროცედურების შეფასება, N24 დადგენილების მე-14 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ) N24 დადგენილების მე-14 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ამ რეგლამენტის N27 მუხლის საფუძველზე შედგენილი შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმის შემოწმება და, აღნიშნული ფორმის საფუძველზე, ბიზნესოპერატორების მიერ დანერგილი კონტროლის ღონისძიებების, აგრეთვე ამ ფორმაში მითითებული დოკუმენტებისა და ჩანაწერების შემოწმება.

მუხლი 29. რეციკლირებული პლასტმასის შეუსაბამობა

1. რეციკლირებული პლასტმასის პარტია ჩაითვლება შეუსაბამოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას სააგენტო დაადგენს რომ:

ა) რეციკლირების ბიზნესოპერატორმა პარტია ბაზარზე განათავსა შესაბამისი დოკუმენტაციის ან ეტიკეტირების გარეშე;

ბ) რეციკლირების ბიზნესოპერატორს არ შეუძლია თავისი ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე დაადასტუროს, რომ პარტია დამზადებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

გ) პარტია დამზადებულია ისეთ რეციკლირების დანადგარში, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად არ ფუნქციონირებდა

2. როდესაც ერთი ან მეტი პარტია დადგენილია შეუსაბამოდ, სააგენტო იღებს შესაბამის ზომებს N24 დადგენილების 117-ე მუხლის შესაბამისად.

3. რეციკლირების დანადგარის ექსპლუატაცია ჩაითვლება ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამოდ, როდესაც სააგენტო დაადგენს ერთერთს:

ა) რეციკლირების დანადგარის ფუნქციონირება არ შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს, თუ სულ მცირე ორი პარტია შეუსაბამოა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და დადგინდება, რომ ამ პარტიების შეუსაბამობა გამოწვეულია დანადგარის ფუნქციონირების ისეთი ხარვეზებით, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა პარტიებზეც;

ბ) რეციკლირების დანადგარში რეციკლირებული პლასტმასის წარმოება არ ხორციელდება ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ზოგადი მოთხოვნების

შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, ასევე არ შეესაბამება გამოყენებული რეციკლირების ტექნოლოგიისა და რეციკლირების პროცესისთვის დადგენილ სპეციალურ მოთხოვნებს ან გამოყენებული ახალი ტექნოლოგიისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

გ) თუ შესაბამის შემთხვევაში, სააგენტომ ვერ შეძლო შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმის შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეციკლირების დანადგარში რეციკლირებული პლასტმასის წარმოების დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში.

თუ სააგენტო დაადგენს, რომ რეციკლირების დანადგარის ფუნქციონირება არ შეესაბამება ამ ტექნიკურ რეგლამენტს, სააგენტომ უნდა განსაზღვროს ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არსებობდა აღნიშნული შეუსაბამობა, არსებული მტკიცებულებების ან მათი არარსებობის გათვალისწინებით.

4. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ რეციკლირების დანადგარში ცვლილებების შეტანაა საჭირო, სააგენტოს შეუძლია შეაჩეროს დეკონტამინაციის დანადგარის ან მისი ნაწილის გამოყენება. თუ აღნიშნული შეჩერება სავარაუდოდ ორ თვეზე მეტხანს გაგრძელდება, შეჩერების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს რეესტრში ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

თავი VIII
შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

მუხლი 30. რეციკლირების ბიზნესოპერატორებისა და შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორის შესაბამისობის დეკლარაციისადმი სპეციალური მოთხოვნები

1. რეციკლირების ბიზნესოპერატორებმა უნდა გასცენ შესაბამისობის დეკლარაცია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N3-ის „ა“ ნაწილით - „რეციკლირების ბიზნესოპერატორების შესაბამისობის დეკლარაცია“ განსაზღვრული აღწერილობისა და ფორმის შესაბამისად.

2. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორებისთვის განკუთვნილ ისეთ ინსტრუქციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას, რეციკლირებული პლასტმასი შემდგომში დაამუშაონ რეციკლირებული პლასტმასის მასალებად და საგნებად, რომლებიც შეესაბამება N317 დადგენილების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გამოყენებული ინსტრუქციები უნდა ეფუძნებოდეს გამოყენებული რეციკლირების ტექნოლოგიისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული რეციკლირების პროცესისთვის დადგენილ სპეციფიკაციებს, მოთხოვნებს ან შეზღუდვებს.

3. შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორებმა უნდა გასცენ შესაბამისობის დეკლარაცია დანართი N3-ის „ბ“ ნაწილით განსაზღვრული აღწერილობისა და ფორმის შესაბამისად.

დანართი N1

სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიების ნუსხა
(მე-4 მუხლის შესაბამისად)

ცხრილი N1 -ში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

სვეტი 1: რეციკლირების ტექნოლოგიისთვის მინიჭებული ნომერი;

სვეტი 2: რეციკლირების ტექნოლოგიის დასახელება;

სვეტი 3: პოლიმერების ტიპები, რომელთა რეციკლირების შესაძლებლობას იძლევა რეციკლირების ტექნოლოგია;

სვეტი 4: რეციკლირების ტექნოლოგიის მოკლე აღწერილობა და დეტალური აღწერილობის მითითება ცხრილი N3-ში;

სვეტი 5: ნედლეულის ტიპი, რომლის დეკონტამინაციაც შეუძლია რეციკლირების ტექნოლოგიას, სადაც:

- PCW - „მოხმარების შემდგომი ნარჩენები“ - ნიშნავს პლასტმასის ნარჩენებს, რომლებიც შეგროვებულია მე-7 მუხლის შესაბამისად;
- FG – „ სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი“ - ნიშნავს პლასტმასს, რომელიც, როგორც ძირითადი მასალა, შეესაბამება N304 დადგენილებას;
- „არასასურსათო PCW“ - ნიშნავს შეფუთვას, რომელიც არ გამოიყენება სურსათის შესაფუთად და შესაძლოა არ იყოს წარმოებული N304 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით, ასევე სხვა პლასტმასის მასალებს, რომლებიც არ არის განკუთვნილი სურსათთან შეხებისთვის;
- „არასასურსათო %“ (წონის მიხედვით %) - ნიშნავს ნედლეულში არსებული არასასურსათო PCW-ს მაქსიმალურ რაოდენობას;

სვეტი 6: რეციკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით წარმოებული პროდუქტის ტიპი;

სვეტი 7: თუ მე-7 სვეტში მითითებულია პასუხი „დიახ“ , ინდივიდუალური რეციკლირების პროცესები უნდა იყოს ავტორიზებული ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-18- დან მე-20 მუხლების შესაბამისად;

სვეტი 8: მითითება ცხრილი N4-ზე სპეციფიკაციებისა და ტექნოლოგიის გამოყენების მოთხოვნების შესახებ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც ავსებს მე-7-9-ე მუხლებით გათვლისწინებულ მოთხოვნებს;

სვეტი 9: მე-7-9 მუხლებიდან გამონაკლისები მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მე-10 მუხლის მე-11 პუნქტიდან გამონაკლისები;

სვეტი 10: თუ მე-10 სვეტში მითითებულია პასუხი „დიახ“, რეციკლირების ტექნოლოგია გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ რეციკლირების სქემის ნაწილის სახით, მე-10 მუხლის შესაბამისად.

DRAFT

ცხრილი N1

სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიების ნუსხა

(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)	(9)	(10)
რეციკლირების ტექნოლოგიის ნომერი	ტექნოლოგიის დასახელება	პოლიმერის ტიპი (დეტალური სპეციფიკაცია იხილეთ ცხრილი N2-ში)	რეციკლირების ტექნოლოგიის მოკლე აღწერილობა (დეტალური სპეციფიკაცია იხილეთ ცხრილი N3-ში	პლასტმასის საწყისი ნედლეულის სპეციფიკაცია	პლასტმასის გამოსული პროდუქტის სპეციფიკაცია	ექვემდებარება ცალკეული პროცესების ავტორიზაციას	სპეციფიკაციები და მოთხოვნები (იხილეთ ცხრილი N4)	გამონაკლისები (იხილეთ ცხრილი N5)	გამოიყენება თუ არა რეციკლირების სქემა
1	მომხმარებლის მიერ გამოყენებული PET-ის მექანიკური რეციკლირება	PET (2.1)	მექანიკური რეციკლირება	მხოლოდ მოხმარების შემდგომი PET-ის ნარჩენი (PET PCW), რომელიც შეიცავს არაუმეტეს 5 %-ს იმ მასალებისა და ნაკეთობებს, რომლებიც გამოყენებული იყო არასასურსათო მასალებთან ან ნივთიერებებთან შეხებისათვის	დეკონტამინირებული PET; საბოლოო მასალები და ნაკეთობები არ უნდა იყოს განკუთვნილი მიკროტალღურ ან ჩვეულებრივ ღუმელებში გამოსაყენებლად; ცალკეული პროცესის შედეგად მიღებული პროდუქტის მიმართ შეიძლება დადგენილი იყოს დამატებითი სპეციფიკაციები.	დიახ	-	-	არა
2	დახურულ და კონტროლირებად ციკლში არსებული	ყველა პოლიმერი, რომელიც პირველადი	ძირითადი გაწმენდა და მიკრობიოლოგიური დეკონტამინაცია	ქიმიურად დაუბინძურებელი პლასტმასის მასალები და	ხელახლა ფორმირებული მასალები და ნაკეთობები,	არა	4.1	-	დიახ

DRAFT

	პროდუქტები დან მიღებული მასალების რეციკლირება	მასალის სახით წარმოებულია რეგულაციის N304 დადგენილები ს შესაბამისად	ხელახალი ფორმირებისას (3.2)	ნაკეთობები, რომლებიც დამზადებულია ერთი პოლიმერისგან ან თავსებადი პოლიმერებისგან და რომლებიც გამოიყენებოდა ან განკუთვნილი იყო გამოყენებისთვის იდენტურ პირობებში. აღნიშნული მასალები და ნაკეთობები უნდა მიიღებოდეს მხოლოდ დახურულ და კონტროლირება დ ჯაჭვში არსებული პროდუქტის ციკლიდან. მომხმარებლების მიერ მათი შეგროვება დაუშვებელია.	რომლებიც განკუთვნილია იმავე დანიშნულებით და გამოყენების იმავე პირობებში გამოსაყენებლად, როგორც რეციკლირების სქემაში მიმოქცევაში არსებული მასალები და ნაკეთობები, საიდანაც მიღებულია პლასტმასის საწყისი ნედეული				

DRAFT

ცხრილი N2

პოლიმერების დეტალური სპეციფიკაცია

საცნობარო ნომერი	აბრევიატურა	პლასტმასის საიდენტიფიკაციო კოდი და/ან რეციკლირების სიმბოლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში (1)	დეტალური სპეციფიკაცია წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის
2.1	PET	1	პოლიეთილენტერეფტალატის პოლიმერი, რომელიც მიღებულია ეთილენგლიკოლისა და ტერეფტალის მჟავის ან დიმეთილტერეფტალატის კოპოლიმერების პოლიკონდენსაციით, რომლის პოლიმერული მატრიცა შეიცავს წონის მიხედვით 10%-მდე სხვა კოპოლიმერს, რომლებიც ჩამოთვლილია N304 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის ცხრილი N1-ში, როგორიცაა იზოფტალის მჟავა და დიეთილენგლიკოლი.
ASTM D7611 – Standard Practice for Coding Plastic Manufactured Articles for Resin Identification ან GBT/T 16288-2008. GB/T 16288-2008 Marking of plastics products განსაზღვრული სახით			

ცხრილი N3

დეკონტამინაციის ტექნოლოგიის დეტალური აღწერილობა

საცნობარო ნომერი	დასახელება	დეტალური აღწერა
3.1	მექანიკური რეციკლირება	აღნიშნული ტექნოლოგია იძლევა შეგროვებული პლასტმასის აღდგენის შესაძლებლობას მექანიკური და ფიზიკური პროცესების მეშვეობით, რაც, როგორც წესი, მოიცავს დახარისხებას, დაქუცმაცებას, რეცხვას, მასალის განცალკევებას, გაშრობასა და განმეორებით კრისტალიზებას, ახალი პლასტმასის ნედლეულის შექმნის მიზნით, რომელიც ინარჩუნებს შეგროვებული პლასტმასის ქიმიურ იდენტურობას. ამ რეციკლირების ტექნოლოგიის კრიტიკული ეტაპია

		დეკონტამინაცია, რომლის დროსაც პლასტმასის საწყისი ნედლეული, სულ მცირე მინიმალური ხანგრძლივობით, ექვემდებარება გაცხელებას, ვაკუუმ- დამუშავებას ან გაზით ჩამორეცხვას, რათა მოხდეს შემთხვევითი დაბინძურების გამომწვევი ნივთიერებების მოცილება იმ დონემდე, რაც არ წარმოადგენს საფრთხეს ჯანმრთელობისთვის. ამ ეტაპს შეიძლება მოჰყვეს შემდგომი რეციკლირებისა და გარდაქმნის ეტაპები, როგორიცაა ფილტრაცია, ხელახალი გრანულაცია, შერევა, ექსტრუზია და ჩამოსხმა. რეციკლირების ამ ტექნოლოგიის გამოყენება ინარჩუნებს პლასტმასის შემადგენელ პოლიმერულ ჯაჭვებს და შესაძლოა, გაზარდოს მათი მოლეკულური წონა. ასევე, შესაძლოა, მოხდეს მოლეკულური წონის უმნიშვნელო, არასასურველი შემცირება.
3.2.	დახურული და კონტროლირებადი მიმოქცევის ჯაჭვიდან მიღებული მასალების რეციკლირება	რეციკლირების ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს პლასტმასის ნედლეულის რეციკლირებას მხოლოდ იმ ბიზნეს სუბიექტებისგან, რომლებიც მონაწილეობენ დახურული ციკლების სისტემაში, რაც მოიცავს წარმოების, დისტრიბუციის ან კვების მომსახურების ეტაპებს და წარმოადგენს რეციკლირების სქემის ნაწილს, მე-10 მუხლის თანახმად. პლასტმასის საწყისი ნედლეული წარმოიშვება მხოლოდ იმ მასალებისა და ნაკეთობებისგან, რომლებიც განკუთვნილია და გამოიყენება სურსათთან შეხებისთვის, და შესაძლებელია ნებისმიერი დაბინძურების გამორიცხვა, სურსათის ზედაპირული ნარჩენებისა და ეტიკეტირების გარდა. პლასტმასის საწყისი ნედლეული შეიძლება შეიცავდეს დაქუცმაცებულ მასალებსა და ნაკეთობებს, ასევე პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების წარმოების შედეგად მიღებულ ნარჩენებსა და ანაფხეკებს. რეციკლირების სქემა არ ითვალისწინებს პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების, როგორც პლასტმასის საწყისი ნედლეულის შეგროვებას, თუ ისინი მომხმარებლებს გადაეცა სქემაში მონაწილე სუბიექტების ობიექტების ფარგლებს გარეთ გამოყენებისთვის და/ან აღნიშნული სუბიექტების კონტროლის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული რეციკლირების ტექნოლოგიის ფარგლებში გამოყენებული დეკონტამინაციის პროცესი მოიცავს ხელახლა ფორმირებისას მაღალ ტემპერატურზე მიკრობიოლოგიურ დეკონტამინაციას, რასაც წინ უძღვის ზედაპირის პირველადი გაწმენდა - გარეცხვა ან ხელახლა ფორმირებისთვის მასალის მომზადებისთვის შესაფერისი სხვა საშუალებებით დამუშავება.. გარდა ამისა, შესაძლოა დაემატოს ახალი პლასტმასი, რათა თავიდან იქნას აცილებული რეციკლირებული პლასტმასის ხარისხის დაქვეითება, რაც მას შეუფერებელს გახდიდა იმ მიზნისთვის, რისთვისაც ის იყო განკუთვნილი. რეციკლირებული პლასტმასი გამოიყენება მხოლოდ იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების დასამზადებლად, რომლებიც განკუთვნილია იმავე სურსათთან და გამოყენების იმავე პირობებში შეხებისათვის, რისთვისაც შეგროვებული მასალები და ნაკეთობები იყო განკუთვნილი და რომელთა შესაბამისობა N304 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თავდაპირველად იყო დადასტურებული.

DRAFT

ცხრილი N4

ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკაციები და მოთხოვნები
(მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად)

საცნობარო ნომერი	სპეციფიკაციები / მოთხოვნები
4.1	ა) ტექნოლოგია და მისი ფუნქციონირება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ცხრილი N3-ის 3.2 პუნქტში მითითებულ აღწერილობას; ბ) როდესაც მასალები განაწილების ჯაჭვში ხელახალი გამოყენების ობიექტია, რეციკლირების პროცესის განხორციელების გარეშე, ისინი რეგულარულად და სათანადოდ უნდა გაიწმინდოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სურსათის, გამოყენებისა და ეტიკეტირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების დაგროვება; გ) გამოყენება, ხელახალი გამოყენება, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული გაწმენდა და რეციკლირება უნდა განხორციელდეს ისეთი წესით, რომელიც უზრუნველყოფს პლასტმასის საწყისი ნედლეულის შემთხვევითი დაბინძურების თავიდან აცილებას, თუ აღნიშნული დაბინძურების მოცილება ზედაპირის გაწმენდით შეუძლებელია; დ) დაუშვებელია პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისათვის ისეთი ეტიკეტირების ან ბეჭდვის გამოყენება, რომლის სრულად მოცილება შეუძლებელია ხელახალი ფორმირების წინ განხორციელებული გაწმენდით; ე) მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მკაფიო ინსტრუქციებსა და პროცედურებს, რომლებიც განკუთვნილია რეციკლირების სქემაში მონაწილე სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის, გარე მასალის (ანუ ისეთი მასალა, რომელიც რეციკლირების კონტროლირებად სქემას არ ეკუთვნის და პროცესში არ უნდა მოხვდეს) შემოტანისა და შემთხვევითი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; ვ) პლასტმასის საწყისი ნედლეული და რეციკლირებული პლასტმასი ნებისმიერ დროს სრულად უნდა შეესაბამებოდეს N304 დადგენილებას. პლასტმასის მასალის შემადგენელი კომპონენტების დაგროვება, რომელიც წარმოიქმნება განმეორებითი რეციკლირების შედეგად, მათ შორის დანამატების ნარჩენებისა ან დეგრადაციის პროდუქტების დაგროვება, განიხილება, როგორც განზრახ დაუმატებელი ნივთიერებები, N304 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. მათი შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს იმ დონეს, რომელიც აღნიშნული რეგულაციის მე-16 მუხლის შესაბამისად ჩატარებული რისკის შეფასებით უვნებლად არ მიიჩნევა. საჭიროების შემთხვევაში, რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის უზრუნველსაყოფად, უნდა დაემატოს ახალი პლასტმასი, რომელიც დამზადებულია აღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად; ზ) უნდა არსებობდეს დოკუმენტირებული სამეცნიერო მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ სქემის ფარგლებში რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო: - პლასტმასის მასალის შემადგენელი კომპონენტების, მათ შორის დანამატების ნარჩენებისა ან განმეორებითი რეციკლირების შედეგად წარმოქმნილი დეგრადაციის პროდუქტების დაგროვება; ან - სხვა წყაროებიდან, როგორიცაა სურსათი, სარეცხი საშუალებები და ეტიკეტირება, წარმოშობილი ჩვეულებრივი ნარჩენების არსებობა.

ცხრილი N5

ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული გამონაკლისები
(მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად)

საცნობარო ნომერი	სპეციფიკაციები/მოთხოვნები

დანართი N2

შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა
(ნიმუში ამ ტექნიკური რეგლამენტის 27-ე მუხლის შესაბამისად)

ფორმა უნდა შეივსოს „კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ“ N317 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია აბრევიატურები, N317 დადგენილების შესაბამისად:

- QA - ხარისხის შეფასება (Quality Assessment);
- SOP - სტანდარტული სამუშაო პროცედურა (Standard Operating Procedure);
- SOP კოდი - SOP კოდი შედგება ორი ნომრისგან: SOP-ის ნომრისა და იმ დოკუმენტის ნომრისგან, რომელშიც აღნიშნული SOP აღწერილია, შემდეგი ფორმატით: SOPNr – DocNr. დოკუმენტის ნომერი უნდა შეესაბამებოდეს 2.3 ქვეთავში მითითებულ დოკუმენტის ნომერს, ხოლო SOP-ის ნომერი - რეციკლირების ბიზნესოპერატორის მიერ დადგენილ ნუმერაციის სისტემას.

1. ნაწილი 1: იდენტიფიკაცია

წინამდებარე ნაწილში მითითებული ნომრები (RIN, RFN, RON, RAN, NTN) უნდა შეესაბამებოდეს ნომრებს, რომლებიც შეტანილია ამ რეგლამენტის 25-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ რეესტრში.

1.1. რეციკლირების დანადგარის იდენტიფიკაცია

დანადგარის დასახელება	
გამოყენებული რეციკლირების ტექნოლოგია დანართი N1-ის შესაბამისად	
ევროკავშირის ან სხვა ქვეყნის რეესტრის	

ნომერი (რეციკლირების დანადგარის ნომერი, („RIN“)	
ობიექტის მისამართი	
რეციკლირების ობიექტის ნომერი (‘RFN’)	
საკონტაქტო ინფორმაცია	
საკონტაქტო პირების თანამდებობები/ფუნქციები	
შესაბამისი ეროვნული რეესტრის ნომრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში	
შეტყობინების თარიღი (26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი)	

1.2. რეციკლირების ბიზნესოპერატორის იდენტიფიკაცია

კომპანიის დასახელება	
რეციკლირების ბიზნესოპერატორის ნომერი “RON”	
სათაო ოფისის მისამართი	
ძირითადი საკონტაქტო პირების თანამდებობები / ფუნქციები	
შესაბამისი ეროვნული რეესტრის ნომრები, ასეთის არსებობის შემთხვევაში	
არის თუ არა ავტორიზაციის მფლობელი? (დიახ / არა / არ არის შესაბამისი)	

1.3. რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის გადაწყვეტილება ან ახალი ტექნოლოგია

ა: ობიექტის მიერ გამოყენებული რეციკლირების პროცესისთვის მინიჭებული ავტორიზაციის გადაწყვეტილების ან გამოყენებული ახალი ტექნოლოგიის იდენტიფიკაცია:

ევროკავშირის ან სხვა ქვეყნის რეესტრის ნომერი, კერძოდ: რეციკლირების პროცესის ავტორიზაციის ნომერი („RAN“) ან ახალი ტექნოლოგიის ნომერი („NTN“).	

ბ: ავტორიზაციის მფლობელი ან ახალი ტექნოლოგიის შემმუშავებელი

ავტორიზაციის მფლობელის (*) / ტექნოლოგიის შემქმნელი სუბიექტის (**) სახელი, შესაბამის შემთხვევაში	
მისამართი	
საკონტაქტო ინფორმაცია	
თანამდებობები / ფუნქციები	

(*) ავტორიზაციის მფლობელის დასახელება და მისი მისამართი უნდა ემთხვეოდეს ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში მითითებულ მონაცემებს.
(**) ტექნოლოგიის შემმუშავებელი, რომელმაც, მე-11 მუხლის მე-3-4-ე პუნქტების შესაბამისად, შეატყობინა ახალი ტექნოლოგიის შესახებ, რომელსაც ობიექტი იყენებს რეციკლირების პროცესში

1.4. სააგენტოს მიერ გამოყენებული დოკუმენტების ბმულები

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი	
სააგენტოს დასკვნის გამოქვეყნების თარიღი	
სააგენტოს მიერ რომელი ნომრით არის ეს კონკრეტული დასკვნა/დოკუმენტი იდენტიფიცირებული	
კონფიდენციალობის შესახებ გადაწყვეტილების ნომერი	
კონფიდენციალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი	

1.5. რეციკლირების ობიექტის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი დამატებითი პირ(ებ)ი

სახელი, გვარი	თანამდებობა / ფუნქციები	საკონტაქტო ინფორმაცია

2. ნაწილი 2: რეციკლირების დანადგარის ექსპლუატაცია

2.1. წერილობითი განმარტებები

2.1.1 და 2.1.2 ქვეთავებში მოცემული ტექსტის მოცულობა თითოეული ქვეთავისთვის არ უნდა აღემატებოდეს 3 000 სიმბოლოს, მათ შორის სიტყვებს შორის დაშორებების ჩათვლით.

2.1.1. „რეციკლირების ბიზნესოპერატორმა“ უნდა განმარტოს რეციკლირებული პლასტმასის წარმოებისა და ხარისხის შესახებ

2.1.2. რეციკლირების ბიზნესოპერატორმა უნდა განმარტოს ავტორიზებულ პროცესთან შესაბამისობის შესახებ

ეს ქვეთავი ვრცელდება მხოლოდ ავტორიზებულ პროცესებზე.

2.2. რეციკლირების ობიექტში განხორციელებული რეციკლირების ოპერაციები

DRAFT

ამ ქვეთავში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- რეციკლირების პროცესის ძირითადი წარმოების ეტაპების სქემა, რომლებიც წარმოადგენს რეციკლირების პროცესის ნაწილს და ხორციელდება რეციკლირების ობიექტში („ობიექტის სქემა“);
- ცხრილი, რომელშიც აღწერილია რეციკლირების ობიექტში განხორციელებული აღნიშნული წარმოების ეტაპები და ამ ეტაპებს შორის არსებული მასალის ნაკადები, შესაბამისი სქემის მიხედვით.

2.2.1. რეციკლირების ობიექტში განხორციელებული ძირითადი წარმოების ეტაპების სქემა (ობიექტის სქემა)

2.2.2. რეციკლირების ობიექტში განხორციელებული ძირითადი წარმოების ეტაპებისა და მათი დამაკავშირებელი ნაკადების აღწერა

ეტაპის ნომერი	დასახელება	აღწერილობა	წელიწადში საშუალოდ გადამუშავებული მასალის რაოდენობა (ტონა)
ნაკადის ნომერი	დასახელება	აღწერილობა	ნაკადის საშუალო რაოდენობა

2.3. შიდა დოკუმენტები

წარმოდგენილი უნდა იქნეს რეციკლირების პროცესის განხორციელებასთან, ხარისხის მართვასთან და ამ პროცესებთან დაკავშირებულ სხვა ადმინისტრაციულ პროცედურებთან, აგრეთვე ავტორიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების სრული ჩამონათვალი.

დოკუმენტებს უნდა მიენიჭოს ნომრები და მე-3 ქვეთავში, ამ დოკუმენტებზე მითითებისას, გამოყენებულ უნდა იქნეს აღნიშნული ნომრები.

რეციკლირების ბიზნესოპერატორს შეუძლია გამოიყენოს მის მიერ დადგენილი დოკუმენტების ნუმერაციის სისტემა.

დოკუმენტის	დოკუმენტის	შესაბამისი	სათაური	აღწერილობა	თარიღი,

ტიპი	ნომერი	საწარმოო ეტაპი			ვერსია, ავტორი

2.4. პარტიის განმარტებები

ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შემდეგი პარტიები:

- შესვლის პარტია (Entry Batch) - გადაუმუშავებელი პლასტმასი, რომელიც მომწოდებლებისგან რეციკლირების ობიექტში შედის;

- შემავალი პარტია (Input Batch) - ობიექტში დამუშვებული პლასტმასი, რომელიც დეკონტამინაციის ეტაპზე შედის;

- გამომავალი პარტია (Output Batch) - დეკონტამინაციის ეტაპის შედეგად მიღებული რეციკლირებული პლასტმასი; და

- ობიექტიდან გატანის პარტია (Exit Batch) - რეციკლირებული პლასტმასი (ან რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაწარმი), რომელიც ობიექტიდან შემდგომი დამუშავების ან გამოყენების მიზნით გადის;

- ნებისმიერი სხვა შუალედური პარტია, რომელიც შეესაბამება ხარისხის შეფასების (QA) შემოწმებას.

თუ შესვლისა და შემავალი პარტიები ერთმანეთის იდენტურია, რადგან ამ ეტაპებს შორის ხარისხის უზრუნველყოფის (QA) დამატებითი შემოწმებები არ ხორციელდება, უნდა განისაზღვროს მხოლოდ შემავალი პარტია. იგივე მიდგომა გამოიყენება გამომავალი და ობიექტიდან გატანის პარტიების მიმართ.

თუ არსებობს შემოსვლის ან/და გასვლის სხვადასხვა ტიპის პარტიები, თითოეული ტიპი ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს და შესაბამისი, განმასხვავებელი დასახელება უნდა მიენიჭოს.

ხარისხის უზრუნველყოფის (QA) თითოეულ საკონტროლო ეტაპს უნდა მიენიჭოს ნომერი იმავე წესით, როგორც ობიექტის სქემაში (2.2.1 ქვეთავი).

პარტიის ტიპი	პარტიის შიდა დასახელება	ნაკადის/ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ნომერი	განმარტება/ აღწერილობა	ზომის ტიპიური დიაპაზონი	მიკლვევადობის წესი

2.5. დეკონტამინაციის დანადგარის პროცესის სქემა

დაურთეთ მილსადენებისა და საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების სქემა, რომელიც შედგენილია ISO 10628-1:2014-ის 4.4-ე ნაწილის შესაბამისად, ISO 10628-2-ის გათვალისწინებით.

2.6. დეკონტამინაციის კრიტიკული ოპერაციების კონტროლი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ კრიტიკულად განსაზღვრულ ეტაპებთან, ფაზებთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია, თითოეული კრიტიკული პარამეტრისთვის საკონტროლო კრიტერიუმი, გამოყენებული საკონტროლო საშუალებები და საკონტროლო კრიტერიუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში განსახორციელებელი მაკორექტირებელი ღონისძიებების აღწერა.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებული უნდა იქნეს კომპლექსური კონტროლის წესების შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

კრიტიკული ოპერაცია (და სააგენტოს მოსაზრებაზე მითითება)	საკონტროლო კრიტერიუმი	საზომი ან საკონტროლო ინსტრუმენტი (იხილეთ პუნქტი 2.5)	მაკორექტირებელი ღონისძიებების მოკლე აღწერილობა, თუ კონტროლის წესი არ იქნება დაცული	SOP კოდი (SOP-ის ნომერი - Doc-ის ნომერი)

2.6.1. დამატებითი ინფორმაცია კომპლექსური კონტროლის წესების შესახებ, საჭიროების შემთხვევებში.

2.7. ექსპლოატაციისათვის შესაბამისი სტანდარტული საოპერაციო პროცედურა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დანადგარის ექსპლოატაციისათვის გამოყენებული თითოეული სტანდარტული საოპერაციო პროცედურის (SOP) მითითება, მისი მოკლე აღწერილობა და მისი განხორციელების ადგილმდებარეობა მითითება.

SOP-ის კოდი	მოკლე აღწერილობა	განხორციელების ადგილმდებარეობა

DRAFT

3. ნაწილი 3: ხარისხის შეფასება

3.1.ხარისხის შეფასების ეტაპების ჩამონთვალი

ხარისხის შეფასების თითოეული ეტაპი უნდა ქნას აღწერილი შემდეგი ცხრილის გამოყენებით:

ხარისხის შეფასების ეტაპი და ნომერი	შეფასების დასახელება	განმარტება/ აღწერილობა	მაჩვენებელი	ჩანაწერები	SOP კოდი (SOP-ის ნომერი - Doc-ის ნომერი)

უნდა განისაზღვროს არანაკლებ ოთხი ეტაპი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესვლისა და შემავალი მასალის ეტაპები, ან გამოსვლისა და საბოლოო გატანის ეტაპები ერთმანეთისგან არ განსხვავდება (იხ. 2.4 პუნქტი):

- **შესვლის ეტაპი** – ხარისხის უზრუნველყოფის პირველი ეტაპი, როდესაც მასალა შედის საწარმოო ობიექტში;
- **შემავალი მასალის ეტაპი** – ეტაპი, როდესაც პლასტმასის საწყისი ნედლეული შედის დეკონტამინაციის პროცესში;
- **გამომავალი ეტაპი** – ეტაპი, როდესაც მასალა ტოვებს დეკონტამინაციის პროცესს;
- **ობიექტიდან გატანის ეტაპი** – ეტაპი, როდესაც რეციკლირებული პლასტმასი ან რეციკლირებული პლასტმასის მასალები და ნაკეთობები ტოვებს საწარმოო ობიექტს.

საჭიროების შემთხვევაში, მასალის ხარისხის კონტროლისა და შეფასების მიზნით, უნდა განისაზღვროს დამატებითი შუალედური ეტაპები. ასეთ შუალედურ ეტაპებს უნდა მიენიჭოს მათი ფუნქციისა და დანიშნულების შესაბამისი დასახელება.

3.2. ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ეტაპებზე გამოყენებული შესაბამისი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითითებული უნდა იქნეს ხარისხის შეფასების (QA) ეტაპებზე გამოყენებულ თითოეულ სტანდარტულ საოპერაციო პროცედურა, მოცემული პროცედურის მოკლე აღწერა და მისი განხორციელების ადგილმდებარეობა.

ხარისხის შეფასება (QA)	SOP კოდი (SOP-ის ნომერი - Doc-ის ნომერი)	მოკლე აღწერილობა	განხორციელების ადგილი

DRAFT

ნაწილი 4: ჩანაწერების შენახვის სისტემა

4.1. ხარისხის შეფასების ჩანაწერების წარმოების სისტემები

ხარისხის შეფასება (იხ. 3.1)	დასახელება	განმარტება/ აღწერილობა	ადგილმდებარეობა	სარეზერვო ასლი	SOP კოდი (SOP-ის ნომერი - Doc-ის ნომერი)	ცვლილებების პრევენცია

4.2. ჩანაწერების წარმოების სისტემისთვის გამოყენებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების კოდების ჩამონათვალი

ხარისხის შეფასება (იხ. 3.4)	SOP კოდი (SOP-ის ნომერი - Doc-ის ნომერი)	მოკლე აღწერილობა	ადგილმდებარეობა (ჩანაწერების წარმოების სისტემაში მონაცემების შეყვანის ადგილი)

4.3. სხვა შესაბამისი ჩანაწერები ან სისტემები

პროცედურა	აღწერილობა/დოკუმენტები

დანართი N3

შესაბამისობის დეკლარაციის ფორმები

(ნიმუშები)

ნაწილი „ა“

რეციკლირების ბიზნესოპერატორის მიერ გამოსაყენებელი შესაბამისობის დეკლარაცია

რეციკლირების ბიზნესოპერატორის შესაბამისობის დეკლარაცია ტექნიკურ რეგლამენტთან (ნომერი, დასახელება)

მე, ქვემორე ხელმომწერი, [ჩასვით რეციკლირების ბიზნესოპერატორის სახელი, გვარი], როგორც ეს მითითებულია 1.1 პუნქტში, ვაცხადებ, რომ 1.2 პუნქტში მითითებული რეციკლირებული პლასტმასის მასალა წარმოებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის (N, დასახელება, მიღების თარიღი) შესაბამისად.

DRAFT

ეს დეკლარაცია ვრცელდება რეციკლირებულ მასალაზე, რომელიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის, იმ პირობით, რომ იგი გამოიყენება ამ დეკლარაციის მე-3 ნაწილით დადგენილი შეზღუდვების, აგრეთვე ამ დეკლარაციაში მითითებული ინსტრუქციებისა და პროდუქტზე დატანილი ეტიკეტირების შესაბამისად.

ამასთან, ვაცხადებ, რომ, ჩემი ცოდნისა და რწმენის შესაბამისად, ამ დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია სწორია და შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს (N, დასახელება, მიღების თარიღი) შესაბამისად.

ნაწილი 1: იდენტიფიკაცია

1.1.რეციკლირების ბიზნესოპერატორი		**რეციკლირებული პროდუქტი**		**სააგენტო**	
დასახელება		1.2.1. სავაჭრო დასახელება / აღნიშვნა		1.3.1 დასახელება	
1.1.2. FCM-RON(*)		1.2.2. პარტიის ნომერი		1.3.2. მისამართი	
1.1.3. ქვეყანა		1.2.3.FCM-RIN(*)		1.3.3. ქვეყანა / რეგიონი	
1.1.4. FCM-RFN(*)		1.2.4. სხვა ინფორმაცია		1.3.4 მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი	

ნაწილი 2: შესაბამისობა

2.1. საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების ან ავტორიზაციის საფუძველი (მონიშნეთ მხოლოდ ერთი უჯრა)

2.1.1	☐	ავტორიზაციის გადაწყვეტილება	RAN (*)	
2.1.2	☐	რეციკლირების სქემა	RSN (*)	
2.1.3	☐	ავტორიზაცია ან რეციკლირების სქემა არ არის საჭირო		
2.1.4	☐	ახალი ტექნოლოგია	NTN (*)	
2.2. შესაბამისობის შეფასების შედეგები, როგორც ეს მითითებულია დანართიN2-ის 3.1 ცხრილით განსაზღვრულ სავალდებულო ხარისხის შეფასების ეტაპებზე, ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონიშნულია 2.1.1 ველი.				

DRAFT

მნიშვნელოვანია: 2.2.2 – 2.2.4 ველები შეიძლება დარჩეს ცარიელი, თუ მონიშნულია 2.2.5 ველი.

ეტაპი (**)	გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები და შედეგები	პარტიის ნომერი/ნომრები
2.2.1 შესვლის		
2.2.2 შემავალი მასალის		
2.2.3 გამომავალი		
2.2.4 ობიექტიდან გატანის		
2.2.5 ქვემორე ხელმომწერი ადასტურებს, რომ 2.2.2–2.2.4 ველებში მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეწოდება 3 სამუშაო დღის ვადაში		☐

ნაწილი 3: მომხმარებლებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციები და ინფორმაცია

3.1	ინსტრუქციები შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორისათვის		
3.1.1.	რეციკლირებული მასალის მაქსიმალური შემცველობა (მას. %)	%	
3.1.2	რეციკლირებული მასალის ფაქტობრივი შემცველობა (მას. %)	%	
3.1.3	გამოყენების შეზღუდვები (**)		
3.1.4	სხვა ინსტრუქციები		
3.2	ინსტრუქციები მომარაგების ჯაჭვის შემდგომ ეტაპებზე მყოფი მომხმარებლებისთვის, მათ შორის საბოლოო მომხმარებლებისთვის		
3.2.1	გამოყენების შეზღუდვები(**)		
3.2.2	ეტიკეტირების მოკლე აღწერლობა		
3.2.3	სხვა ინსტრუქციები		

ნაწილი 4: ხელმოწერა

4.1. ხელმოწერა და კომპანიის ბეჭედი	
4.2. ხელმომწერი პირის გვარი,სახელი	
4.3. ხელმომწერი პირის ფუნქციები / თანამდებობა	
4.4. თარიღი და ადგილი	

(*) RAN – რეციკლირების ავტორიზაციის ნომერი (Recycling Authorisation Number); RON – რეციკლირების ბიზნეს ოპერატორის ნომერი (გადამამუშავებლებისთვის); RIN – რეციკლირების ობიექტის ნომერი; RSN – რეციკლირების სქემის ნომერი; NTN – ახალი ტექნოლოგიის ნომერი; RFN – რეციკლირების საწარმოს ნომერი.

(**) გასვლის ეტაპისთვის განკუთვნილი ველების შევსება სავალდებულოა (ბაზარზე განთავსებული პარტია, რომელსაც თან ახლავს ეს დეკლარაცია). სხვა ველების შევსება ნებაყოფლობითია, თუმცა, თუ ეს ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ამ დეკლარაციის მეშვეობით, იგი სააგენტოს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მიეწოდოს 3 სამუშაო დღის ვადაში.

(***) გამოყენების შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს რეციკლირებული პლასტმასის გამოყენების სფეროში მოქმედ ნებისმიერ შესაბამის პირობას, გამოყენებული ტექნოლოგიისთვის დანართიN1-იდ , მე-7, მე-8 ან მე-9 მუხლების შესაბამისად, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, რეციკლირების პროცესის ავტორიზაციით დადგენილ პირობებს ან ნებისმიერ სხვა შეზღუდვას, რომლის დაწესებასაც რეციკლირების ბიზნესოპერატორი საჭიროდ მიიჩნევს.

DRAFT

ნაწილი „ბ“

შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორის მიერ გამოსაყენებელი შესაბამისობის დეკლარაცია იმ შემთხვევაში, თუ შემდგომი დამუშავების პლასტმასის მასალა შეიცავს რეციკლირებულ პლასტმასს

შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორის დეკლარაცია ტექნიკურ რეგლამენტთან (დასახელება, ნომერი) შესაბამისობის შესახებ

მე, ქვემორე ხელისმომწერი, 1.1 პუნქტში მითითებული [შემდგომი დამუშავების ბიზნესოპერატორის] სახელით ვაცხადებ, რომ 1.2 პუნქტში მითითებული რეციკლირებული პლასტმასის მასალა წარმოებულია N ტექნიკური რეგლამენტის (დასახელება) შესაბამისად. რეციკლირებული მასალა, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დეკლარაცია, მიზანშეწონილია სურსათთან შეხებაში გამოყენებისთვის იმ პირობით, რომ იგი გამოიყენება წინამდებარე დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული შეზღუდვების შესაბამისად, ასევე ამ დეკლარაციით გათვალისწინებული ინსტრუქციებისა და პროდუქტის ეტიკეტირების წესების დაცვით.

წინამდებარით ვადასტურებ მოცემული დეკლარაციის შინაარსის სისწორეს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის ფარგლებში და მის შესაბამისობას N.... ტექნიკური რეგლამენტთან.

ნაწილი 1. იდენტიფიკაცია					
1.1.შემდგომი დამუშავების ბიზნეოპერატორი		1.2. რეციკლირებული პლასტმასის შემცველი პროდუქტები			1.3. სააგენტო
1.1.1 დასახელება		1.2.1 სავაჭრო დასახელება/აღნიშვნა		1.3.1. დასახელება	
1.1.2 მისამართი		1.2.2 პარტიის N		1.3.2 მისამართი	
1.1.3 ქვეყანა		1.2.4 სხვა ინფორმაცია		1.3.3.ქვეყანა რეგიონი	
				რეგისტრაციის ნომერი	
ნაწილი 2: შესაბამისობა					
2.1					
2.1.1	რეციკლირებული პლასტმასის წარმოშობა; რეციკლირების ობიექტის ნომრები (RIN)				
2.1.2	დეკონტამინაციის ობიექტიდან მიღებული რეციკლირებული პლასტმასის პარტიის ნომრები				
2.1.3	რეციკლირების ბიზნესოპერატორის მიერ მითითებული რეციკლირებული მასალის მაქსიმალური შემცველობა (ნაწილი A, 3.1.1)			მას. %	
2.1.4	პროდუქტში რეციკლირებული პლასტმასის ფაქტობრივი შემცველობა			მას. %	

2.1.5	დაცულია რეციკლირების ბიზნესოპერატორიგან მიღებული შესაბამისობის დეკლარაციაში მითითებული შეზღუდვები			☐
2.1.6	დანამატების ან საწყისი ნივთიერებების დამატება			☐ დამატებული დანამატები ან საწყისი ნივთიერებები შეესაბამება N 304 რეგლამენტს.
ნაწილი 3: პროდუქტის მომხმარებლებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციები და ინფორმაცია				
3.2				
3.2.1	„1.2 პუნქტში მითითებული პროდუქტი არის: (მონიშნეთ შესაბამისი ვარიანტი; შესაძლებელია ორივე ვარიანტის მონიშვნა)	(ა)შემდგომი გადამუშავების ეტაპებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასი		☐
		(ბ) საბოლოო პლასტმასის მასალა ან საგანი, რომელიც შემდგომი დამუშავების გარეშე ვარგისია სურსათთან შეხებისათვის.		☐
3.2.2	სურსათის სახეობა ან სახეობები, რომლებთან შეხებისთვისაც იგი განკუთვნილია			
3.2.3	სურსათთან შეხებისას დამუშავებისა და შენახვის დრო და ტემპერატურა			
3.2.4	სურსათთან შეხების ზედაპირის ფართობისა და მოცულობის უდიდესი თანაფარდობა, რომლისთვისაც შესაბამისობა დადასტურებულია			
3.2.5	დამატებული ნივთიერებების ჩამონათვალი მიგრაციის ზღვრული მნიშვნელობების მითითებით; საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სტრიქონები. შენიშვნა: ზოგიერთი ნივთიერებისთვის შეიძლება არ არსებობდეს FCM ნომერი და სპეციფიკური მიგრაციის ზღვრული მნიშვნელობა („SML“).	FCM No*	სხვა აღნიშვნა (CAS ნომერი, ქიმიური დასახელება)	სპეციფიკური მიგრაციის ზღვრული მნიშვნელობა (SML) (მგ/კგ სურსათში)
3.2.6.	სხვა შესაბამისი ინფორმაცია და ინსტრუქციები, მათ შორის, N304 დადგენილების დანართი			

DRAFT

	N4-ის მე-7 და მე-9 პუნქტების შესაბამისად	
3.2.7	ამ დეკლარაციის მოქმედების სფეროში მოქცეული რეციკლირებული პლასტმასი წარმოადგენს მრავალშრიანი მასალის ან საგნის ერთ-ერთ ფენას, რომელიც, შესაბამისად, ექვემდებარება N304 დადგენილების რეგულაციის მე-11 ან მე-12 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და რომლის სხვა ფენაში ან ფენებში მოთავსებულია ამ რეგლამენტის შესაბამისად წარმოებული პლასტმასი. აღნიშნულ ფენასთან ან ფენებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შესაბამისობის ცალკე დეკლარაცია, რომელიც შედგენილია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად და რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს.	☐

ნაწილი 4. ხელმოწერა	
4.1. ხელმოწერა და კომპანიის ბეჭედი	
4.2. ხელმომწერი პირის სახელი და გვარი	
4.3. ხელმომწერი პირის თანამდებობა/პოზიცია	
4.4 თარიღი და ადგილმდებარეობა	

DRAFT

განმარტებითი ბარათი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების შესახებ“

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი შემუშავებულია DIRECTIVE 2009/32/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2009 on the approximation of the laws of the Member States on extraction solvents used in the production of foodstuffs and food ingredients- ის, L 25, 67, 27.1.2023 კონსოლიდირებული ვერსიის მოთხოვნების შესაბამისად.

ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მიზანია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს პლასტმასის გადამუშავებას, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოს, რომ რეციკლირებული პლასტმასის გამოყენებამ არ შექმნას საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობისთვის და უზრუნველყოს სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების უვნებლობის მოთხოვნები.

რეგლამენტის პროექტით განსაზღვრულია მოთხოვნები იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობებისთვის, რომლებიც დამზადებულია ნარჩენებიდან მიღებული პლასტმასისგან, შეიცავს რეციკლირებულ პლასტმასს და განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის ან გონივრულად მოსალოდნელია, რომ სურსათთან შევა შეხებაში. ადგენს მოთხოვნებს რეციკლირებული პლასტმასის ბაზარზე განთავსების მიმართ, რეციკლირების ტექნოლოგიებსა და პროცესებს, ადგენს წესებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენი პლასტმასის გადამუშავება. რეგლამენტი არ ეხება მხოლოდ საბოლოო პროდუქტის მწარმოებელს, ის არეგულირებს ასევე ნარჩენი პლასტმასის შეგროვებას, დახარისხებას, რეციკლირებას, დეკონტამინაციას, რეციკლირებული პლასტმასის წარმოებას და საბოლოო საკვებთან კონტაქტის მასალის წარმოებას.

პროექტი ადგენს პირობებს, როდესაც რეციკლირებული პლასტმასი შეიძლება გამოყენებული იქნეს სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებსა და ნაკეთობებში. ამ ასთან ადეგნს, რომ შესაბამისმა რეციკლირების ტექნოლოგიამ/პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ რეციკლირებული პლასტმასი იყოს მიკრობიოლოგიურად უსაფრთხო; არ იწვევდეს ისეთი ნივთიერებების სურსათში გადასვლას, რომელმაც შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას; არ შეცვალოს სურსათის შემადგენლობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები, ასევე საბოლოო პროდუქტის წარდგენამ, ეტიკეტირებამ და რეკლამამ მომხმარებელი შეცდომაში არ შეიყვანოს.

პროექტის თანახმად, იქმნება რეციკლირების ტექნოლოგიების სისტემა, რომლის თანახმადაც განსაზღვრულია სხვადასხვა ტექნოლოგიები, რომლეთა კატეგორიზაციას საფუძვლად უდევს ნარჩენი პლასტმასის ტიპი, ნარჩენის წარმომავლობა, შეგროვების სისტემა, დაბინძურების რისკები, საბოლოო რეციკლირებული პლასტმასის დანიშნულება. შესაბამისი ტექნოლოგიები განსაზღვრულია პროექტის დანართი N1-ში.

რეგულაცია ასევე ადგენს შემთხვევებს, როდესაც საჭიროა რეციკლირების პროცესის ინდივიდუალური ავტორიზაცია. ამ დროს დადგენილი უნდა იქნეს გამოყენებული ნედლეული, მისი წარმომავლობა, მისი შეგროვება, დახარისხება, უნდა შეფასდეს დაბინძურების რისკები, თუ რომელი რეციკლირების პროცესი იქნა გამოყენებული, როგორ ხდება დეკონტამინაცია, რა საბოლოო გამოყენება აქვს რეციკლირებულ პლასტმასს, აკმაყოფილებს თუ არა რეციკლირების პროცესი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტი ადგენს ასევე გამოყენებული ნედლეულის მიმართ მოთხოვნებს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ნარჩენის წარმომავლობა, შეგროვების სისტემა, ნარჩენების ტიპი, მოსალოდნელ დაბინძურება, მასალის გამოყენების ისტორია და სურსათთან შეხებისათვის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობა. განსაზღვრულია ასევე ისეთი დეკონტამინაციის პროცესის უზრუნველყოფა, რომელიც ამცირებს ამ ნივთიერებების არსებობას ისეთ დონემდე, რომ საბოლოო რეციკლირებული პლასტმასი სურსათთან შეხებისათვის უვნებელო იყოს.

პრექტი განსაზღვრავს შესაბამისობის დეკლარაციის სისტემას, რომლის მიხედვითაც შესაბამისმა ბიზნესოპერატორმა უნდა შეძლოს დაადასტუროს, რომ მის მიერ წარმოებული/მიწოდებული რეციკლირებული პლასტმასის მასალა აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. პროექტი არეგულირებს ასევე მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების საკითხს, რომლის თანახმად, არ შეიძლება პროდუქტის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას შეუქმნის მის უვნებლობაზე, შემადგენლობაზე ან გამოყენების შესაძლებლობაზე.

პროექტი ადგენს ასევე კონკრეტული რეციკლირებული პლასტმასის გამოყენების პირობებს და განსხვავებულ მოთხოვნებს იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის სურსათისთვის არის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასი

პროექტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ნარჩენი პლასტმასის შემგროვებლებზე, პლასტმასის დამხარისხებელ საწარმოებზე, რეციკლირების საწარმოებზე, რეციკლირებული პლასტმასის ბიზნესოპერატორებზე, პლასტმასის შეფუთვის მწარმოებლებზე, სურსათთნ შეხებაში მყოფი პლასტმასის მასალების მწარმოებლებზე, იმპორტიორებზე, დისტრიბუტორებზე, ბიზნესოპერატორებზე რომლებიც იყენებენ რეციკლირებულ პლასტმასს სურსათის შეფუთვაში.

პროექტის დანართებით განსაზღვრულია სათანადო რეციკლირების ტექნოლოგიების ნუსხა (დანართი N1), შესაბამისობის მონიტორინგის შემაჯამებელი ფორმა (დანართი N2) და შესაბამისობის დეკლარაციის ფორმები (დანართი N3).

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას გამოყენებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტი - DIRECTIVE 2009/32/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2009 on the approximation of the laws of the Member States on extraction solvents used

in the production of foodstuffs and food ingredients- ის, L 25, 67, 27.1.2023 კონსოლიდირებული ვერსია.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას იმ რისკებისგან, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი რეციკლირებული პლასტმასის მასალებთან და ნაკეთობებთან.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 202..... წლის .....-დან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

DRAFT